# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭ-დვის გავსება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ორშაბათი, 26 ივნისი. 2023 წ. №73 (9605) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი


## ვაშინერს!

# „ნაცმოძრაობის" ხელისუფლებაში დაბრუნების სქემა ამოქმედდა!!!




# ზურაბიშვილი მაოხრებელ პოლიტიკურ გვამს ვერ შეიწყალებს!



# შორს არ არის ის დრო, როცა ღრმად ავადმყოფი ევროპა ბავშვებში ლგბტ პროპაგანდას და ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებას მოგვთხოვს!

5



## გარდაიცვალა ქართული სიტყვის დიდოსტატი

# გურამ გოგიაშვილი

ქართულმა ჟურნალისტიკამ, ქართულმა სიტყვიერებამ მძიმე დანაკლისი განიცადა, 89 წლისა გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მწერალი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, წლების განმავლობაში რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთების მთავარი რედაქტორი, დღევანდელ საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი მშობლიური ლექსიკის მცოდნე კალმოსანი, არაერთი ლიტერატურული და სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ვახტანგ გორგასლის და ღირსების ორდენების კავალერი, დიდი ფრანგი განმანათლებლის ფრანსუა რაბლეს „გარგანტუა და პანტაგრუელის", აგრეთვე, პავიჩის, კოელიოს, როტერდამელის, ჯანი როდარის და სხვათა სწორუპოვარი მთარგმნელი, ჭეშმარიტი მგადმოენებელი

## გურამ სოლომონის ძე გოგიაშვილი

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია დიდი მწუხარებით აუწყებს ქართველ მწერლებს და ჟურნალისტებს გურამ გოგიაშვილის გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

გამოსვენება სამშაბათს, 27 ივნისს, პეკინის ქ. №16, დღის 12 საათზე. დაკრძალვა კასპის რაიონის სოფელ ზემო ხანდაკის საგვარეულო სასაფლაოზე.



## დავით ლორთქიფანიძე საქართველოს ეროვნულ მუზეუმს კიდევ ოთხი წლით უხელმძღვანელებს

– ამის შესახებ აღნიშნულია საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ბრძანებაში. ეს ფაქტი საქართველოს პირველ არხს დავით ლორთქიფანიძემაც დაუდასტურა.

იგი ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის თანამდებობას 2004 წლიდან იკავებს. 27 მაისს საქართველოს საპატრიარქომ დავით ლორთქიფანიძე გელათის რეაბილიტაციის ეროვნული სამეცნიერო საბჭოს დირექტორად დანიშნა.



## ზაზა დარასელის სახელი ფეხბურთით ცოცხლობს!

9

## უკრაინაში კიდევ ორი ქართველი მებრძოლი დაიღუპა

უკრაინაში კიდევ ორი ქართველი მებრძოლი – **მალხაზ კვიჟინაძე** და **ჯონი ოდიშვილი** დაიღუპა.

2022 წლის 24 თებერვლის, რუსეთის ფართომასშტაბიანი შეჭრის შემდეგ, უკრაინაში 46 ქართველი მებრძოლია დაღუპული.

**„სრ" რედაქცია გულწრფელად თანაუგრძნობს გარდაცვლილთა ოჯახებს.**

## ირაკლი კობახიძე: ოპოზიციისთვის თვითმიზანია, რომ საქართველომ არ მიიღოს კანდიდატის სტატუსი, ამისთვის შეაწყალებინეს გვარამია



**ოპოზიციისთვის თვითმიზანია, რომ საქართველომ არ მიიღოს კანდიდატის სტატუსი, ამისთვის აღვივებენ პოლარიზაციას, ამისთვის შეაწყალებინეს სალომე ზურაბიშვილს გარედან გვარამია,** – ამის შესახებ „ქართული ოცნების" თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ განაცხადა.

**„პირადად ათასჯერ მაინც მაქვს ნათქვამი, ოპოზიციისთვის თვითმიზანია, რომ საქართველომ არ მიიღოს კანდიდატის სტატუსი. მეტი რა უნდა დაამტკიცონ. პირდაპირ განცხადებებით ადასტურებენ იმას, რომ ჩვენ ვართ მართლები. ოპოზიციისთვის არის არა მარტო მიზანი, არამედ თვითმიზანი, რომ საქართველომ არ მიიღოს კანდიდატის სტატუსი, ყველაფერს აკეთებენ ამისთვის. ამისთვის აღვივებენ პოლარიზაციას, ამისთვის შეაწყალებინეს სალომე ზურაბიშვილს გარედან გვარამია.**

**გლობალური ომის პარტია არის ის, ვისაც აწყობს საქართველოში პოლარიზაციის შენარჩუნება. აწყობს ის, რომ საქართველომ არ მიიღოს კანდიდატის სტატუსი. ეს არის სამწუხარო მოვლენა. თუმცა, ჩვენ მაინც გვაქვს იმედი, რომ დეკემბერში განსხვავებით შარშანდელი გადაწყვეტილებისგან, იქნება მიღებული ამჯერად მაინც სამართლიანი გადაწყვეტილება საქართველოსთვის",** – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

## კახა კალაძე: მინდა, მჯეროდეს, რომ კიდევ არ დაიჩაგრება ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა



**რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლები თავიანთი ქმედებებით და კონკრეტული გადადგმული ნაბიჯებით ყველაფერს აკეთებენ, რომ ჩვენმა ქვეყანამ არ მიიღოს სტატუსი!** – განაცხადა კახა კალაძემ.

კალაძის თქმით, რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლები ქვეყნის ევროინტეგრაციისა და ევროპული მომავლის მტრები არიან.

**„ისინი ყველაფერს აკეთებდნენ, როდესაც ვიზალიბერალიზაციის პროცესი მიდიოდა, დარბოდნენ კაბინეტებში, რომ არ მიეღოთ აღნიშნული გადაწყვეტილება. იგივე იყო ასოცირების გაფორმების დროს და იგივე ხდება დღეს. საქართველო მართლა იმსახურებდა აღნიშნულ სტატუსს, თუ მართლა რომელიმე ქვეყანას აქვს კარგი მაჩვენებლები, წინ გადადგმული ნაბიჯები, ეს იყო ჩვენი ქვეყანა, საუკეთესო იყო და თავადვე აღნიშნეს, რომ საქართველოსთან მიმართებაში უსამართლო გადაწყვეტილება იყო მიღებული. მოგვცეს ეს 12-პუნქტიანი გეგმა. ამ 12-პუნქტიან გეგმასაც ვასრულებთ ზედმიწევნით, რომ ვინმეს სალაპარაკო არ დარჩეს. დაველოდებით დეკემბერს. მინდა, მჯეროდეს, რომ არ იქნება უსამართლო გადაწყვეტილება მიღებული და კიდევ არ დაიჩაგრება ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა"...**

## ნაბიჯი პოლარიზაციის გამწვავებისკენ!

**თბილისის მერის, კახა კალაძის განცხადებით, ნიკა გვარამიას შეწყალება ხელს შეუწყობს პოლარიზაციის გამწვავებას,** – ამის შესახებ მან მედიასთან განაცხადა.

კახა კალაძის თქმით, საქართველოს პრეზიდენტის ამ გადაწყვეტილებას საზოგადოება შეაფასებს.

**„არ მინდა, პრეზიდენტის გადაწყვეტილებაში შევიდე და პოლემიკა გავმართო, პირველ რიგში, ისევ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე. აღნიშნულ გადაწყვეტილებას ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა შეაფასებს. ერთი რამ შემიძლია ვთქვა – აღნიშნული გადაწყვეტილება კიდევ ერთი ნაბიჯია პოლარიზაციის გამწვავებისკენ",** – განაცხადა კახა კალაძემ.

## ვატო შაქარიშვილი: „გოუჟენია" გვარამია რას შვება ამ დროს, კიდე პრიგოჟინს „უპაძერჟკებს" თუ ახლა პუტინისკენ უფრო იხრება?



**„გოუჟენია" გვარამია რას შვება ამ დროს, კიდე პრიგოჟინს „უპაძერჟკებს"თუ ახლა პუტინისკენ უფრო იხრება? დღევანდელმა დღემ სრული ლუსტრაცია მოახდინა, ყველა უზნეო თვისების გარდა რა დონის დეგენერატები მართავდნენ ქვეყანას 2012 წლამდე და ვის უნდა ხელისუფლებაში მოსვლა. პრეზიდენტად წოდებული მადამ სალომე ცალკე",** – წერს საზოგადოებრივი მოძრაობის „საქართველო უპირველეს ყოვლისა" დამფუძნებელი **ვატო შაქარიშვილი** სოციალურ ქსელში.

## ევროკავშირის საელჩოსთან სასულიერო პირებმა და მრევლმა აქცია გამართეს

დიპლომატიურ უწყებასთან შეკრებილებმა ლგბტ პროპაგანდა გააპროტესტეს და მოითხოვეს, რომ ეს საკითხი კანონით დარეგულირდეს.

**„ჩვენი აქ მოსვლის მიზეზი არის ის, რომ ვითხოვთ ხელისუფლებისგან კანონმდებლობით აიკრძალოს ლგბტ ცხოვრების წესის ქადაგება-პროპაგანდა, რადგანაც ჩვენ ვთვლით რომ, ეკლესიის სწავლების მიხედვით ეს არის უმძიმესი ცოდვა", – განაცხადა დეკანოზმა დავით ისაკაძემ.**

## დარეგისტრირდა ხუთასზე მეტი მედიკამენტი

ფარმაცევტული ბაზრის რეფორმის ფარგლებში მოსახლეობისთვის ხარისხიან მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ჯანდაცვის მინისტრის ინიციატივით, სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო სამკურნალო საშუალებებს პროაქტიულად არეგისტრირებს. ინფორმაციას ჯანდაცვის სამინისტრო ავრცელებს.

**„ჩვენ, კანონით მინიჭებული შესაძლებლობა გამოვიყენეთ და სხვადასხვა მედიკამენტის რეგისტრაციას, პროაქტიულად, კომპანიის მომართვის გარეშეც ვახორციელებთ. ფარმაცევტულ კომპანიებს შეუძლიათ თამამად, ყოველგვარი ბიუროკრატიის გარეშე პირდაპირ შემოიტანონ ქვეყანაში ეს წამლები. იყო შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი კომპანია ანალოგ და შესაძლოა, უფრო შეღავათიანი ღირებულების წამლებს მიზანმიმართულად არ არეგისტრირებს, ან კონკურენციის გამო, რეგისტრაციას აუქმებს, რათა სხვას არ შემოეტანა პრეპარატი. ამ მექანიზმით კი, ეს რისკიც დაზღვეულია",** – განაცხადა ზურაბ აზარაშვილმა.

ცვლილების შედეგად ბოლო ერთი წლის განმავლობაში, რეგულირების სააგენტომ 563 ფარმაცევტული პროდუქტი დაარეგისტრირა. აღნიშნული ხელს უწყობს ფარმაცევტულ კომპანიებს წამლები ქვეყანაში გამარტივებული წესით შემოიტანონ. პროაქტიული წესით, ფარმაცევტული პროდუქტის რეგისტრაცია მედიკამენტების იმპორტს კიდევ უფრო ამარტივებს და საქართველოს ბაზარზე, ფარმაცევტული პროდუქტის ფართო ასორტიმენტის არსებობას უზრუნველყოფს.

## სამხედროები ინტელექტუალური თამაშში ჩაერთვნენ



**ვაზიანში, მე-4 ქვეითი ბრიგადის ბაზაზე ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?" გაიმართა. თამაშში თავდაცვის ძალების სამხედრო მოსამსახურეებისა და სამოქალაქო ოფისის თანამშრომლებისგან დაკომპლექტებული 30 გუნდი მონაწილეობდა. თამაშს ინტელექტკლუბის პრეზიდენტი გიორგი მოსიძე უძღვებოდა.**

საინტერესო და დაძაბული თამაშის შედეგად სამი გამარჯვებული გუნდი გამოვლინდა. გამარჯვებული გუნდის ტიტული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის პოლიტიკისა და განვითარების დეპარტამენტს ხვდა წილად, მეორე და მესამე ადგილები კი, თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის გუნდმა და სპეციალური ოპერაციების ძალებმა გადაინაწილეს.

**გამარჯვებული გუნდების თითოეულ წევრს ინტელექტუალური თამაშის ორგანიზატორებისგან სამახსოვრო ბუ გადაეცათ, ხოლო საქართველოს თავდაცვის სამინისტროსგან ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ. თავდაცვის უწყებაში „რა? სად? როდის?" სოციალურ საკითხთა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის დეპარტამენტის ორგანიზებით გაიმართა.**

# მეზღვაურთა დღე ბათუმში



**საქართველო, როგორც საზღვაო ქვეყანა, ეკონომიკის სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ორგანიზებით 25 ივნისს, ყოველწლიურად აღნიშნავს მეზღვაურთა პროფესიულ დღეს.**

ამჯერად საზეიმო ღონისძიებები ბათუმის ცენტრალური პარკიდან დაიწყო – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სტუდენტთა მსვლელობა სასულე ორკესტრის თანხლებით. ნავმისადგომზე კი მეზღვაურის დღისადმი მიძღვნილი ოფიციალური საზეიმო ცერემონია გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ლევან დავითაშვილმა, აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ თორნიკე რიჟვაძემ, ქალაქ ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა, საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ხელმძღვანელმა ალექსი ახვლედიანმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა, საზღვაო სექტორის წარმომადგენლებმა და მიწვეულმა სტუმრებმა.

ლევან დავითაშვილმა თავის გამოსვლაში ქართველ მეზღვაურებს მადლობა გადაუხადა ქვეყნისა და საქმისადმი ერთგულებისა და ღირსეული სამსახურისთვის.

ამასთან, მიმდინარე წლის მაისში საქართველო შეუერთდა მეზღვაურთა შრომის კონვენციას და მიღებული იქნა ამ კონვენციის შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა - „მეზღვაურთა შრომის შესახებ" საქართველოს კანონი, რომელიც ხელს შეუწყობს მეზღვაურების სოციალური და შრომითი უფლებების დაცვას.

**„ჩვენი თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად შევძელით ის, რომ საქართველოს მეზღვაურის პროფესია დღეს კიდევ უფრო დაფასებულია. საზღვაო სექტორი დიდი სატრანსპორტო სექტორის მნიშვნელოვანი ნაწილია და ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ მსოფლიოს კომერციული ტვირთების 90% სწორედ საზღვაო ტრანსპორტით გადაიზიდება. საქართველო, როგორც მნიშვნელოვანი სატრანზიტო-ლოგისტიკური ფუნქციის ქვეყანა ზღვასთან მჭიდროდაა დაკავშირებული. შესაბამისად, ჩვენი პოლიტიკაც იმისკენაა მიმართული, რომ განვავითაროთ ინფრასტრუქტურა. ჩვენ განვაცხადეთ ძალიან მნიშვნელოვანი, ამბიციური პროექტის შესახებ – მიმდინარე წელს საქართველოს მთავრობა დაიწყებს ანაკლიის ახალი ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობას, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს საქართველოს, როგორც საზღვაო ქვეყნის როლს შავ ზღვაზე. რა თქმა უნდა, ეს ნიშნავს, რომ კიდევ უფრო წარმატებულები ვიქნებით სატრანსპორტო-ლოგისტიკურ ოპერაციებში, ქვეყანაში მეტი ეკონომიკა შეიქმნება",** – განაცხადა ვიცე-პრემიერმა.

მეზღვაურთა საერთაშორისო დღის აღნიშვნა ბათუმში მთელი დღის განმავლობაში სხვადასხვა ღონისძიებებით გაგრძელდა. საზღვაო დარგის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის დააჯილდოვებენ საზღვაო პროფესიის წარმომადგენლები. ასევე, ტრადიციულად შედგება გარდაცვლილი მეზღვაურებისთვის პატივის მიგების ცერემონია.



# ევროპელი ნაც...ანალოები

# „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებაში დაბრუნების სქემა ამოქმედდა!!!

მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა **სალომე ზურაბიშვილმა ნიკა გვარამია** შეიწყალა, საკუთარი გადაწყვეტილების მოტივებზე ახსნა-განმარტება არ ისურვა, იმ არგუმენტით, რომ „სხვების აზრი არ აინტერესებს“, დასავლეთში ენით აუწერელმა ჟრიამულმა იხუვლა. აშშ-სა და ევროკავშირში ატეხილი ეს კოლექტიური ჟრიამული და მათი გავლენიანი ფიგურების, ლამის, ტყუპისცალივით მსგავსი დითირამბები სალომე ზურაბიშვილის ამ გადაწყვეტილებაზე, ადასტურებს, რომ ზურაბიშვილი უბრალოდ ცრუობდა, როდესაც არწმუნებდა საზოგადოებას, რომ გადაწყვეტილება ზეწოლის გარეშე მიიღო. სხვათა შორის, **მიხეილ სააკაშვილმა**, რომლის გათავისუფლების მოთხოვნაც მყისიერად წამოვიდა დასავლეთიდან, განაცხადა, რომ ზურაბიშვილის მიერ გვარამიას შეწყალება სწორედ ევროპისა და ამერიკის აქტიურობამ გამოიწვია. ეს რომ ნამდვილად ასეა, ამას მოწმობს თუნდაც აშშ-ის ელჩის **კელი დეგნანის** „იმედგაცრუება“ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, რომელმაც გვარამიასადმი განაჩენი ძალაში დატოვა. თუ როგორ ითარგმნება სინამდვილეში აშშ-ის „იმედგაცრუება“, ჩვენმა საზოგადოებამ და განსაკუთრებით „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ, უკვე კარგად იციან. ამის მაგალითია თუნდაც ჩვენი ოთხი მოსამართლის დასანქცირებაც და სხვა „დამსჯელი ზომები“.

**სალომე ზურაბიშვილი ამ შემთხვევაში მხოლოდ მეხამრიდის ან გამტარის როლს ასრულებს. მას აწყობს ეს როლი, რადგანაც აქედან იღებს იმ პოლიტიკურ თუ რეპუტაციულ დივიდენდებს, რაც მას უნდა დაეხმაროს დასავლეთში სარფიანი პლაცდარმის მომზადებაში, საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ. ვერსია, რომ ის ადგილობრივი ოპოზიციის ერთიან ლიდერად მოგვევლინოს, ჯერჯერობით არაფრით დასტურდება. ასაკოვანი ფაქტორის გარდა, ზურაბიშვილი მისი ბოლო ქმედებების გამო, ქართული საზოგადოების დიდი ნაწილის, უპირველესად კი მისი ამომრჩევლისთვის, ლამის, კეთროვანი ფიგურა გახდა.**

სამაგიეროდ, არ არის გამორიცხული, რომ ციხიდან გამოსული ნიკა გვარამია ვიხილოთ აქტიურ პოლიტიკაში. დღეს შესაძლოა ეს სცენარი ნაკლებსავარაუდოდ მოჩანდეს, მაგრამ არჩევნების მოახლოების კვალობაზე, მისი ალბათობა შესაძლოა გაიზარდოს. „ნაცმოძრაობასა“ და ზოგადად, ოპოზიციის რიგებში, ძლიერი ქმედითი ლიდერის დეფიციტია, რაც სერიოზულად ამცირებს მათ შანსებს მომავალ არჩევნებზე და შეუძლებელია დასავლეთში ამას ვერ ხედავდნენ. „ნაცმოძრაობის“ თავმჯდომარედ **ლევან ხაბეიშვილის** არჩევას დასავლეთში, რბილად რომ ვთქვათ, ენთუზიაზმით არ შეხვედრიან, ბევრი მიზეზის გამო. პარტიის ლიდერობის „ჩამოლაბორანტება“ სააკაშვილიდან ხაბეიშვილამდე დასავლეთის წრეებისთვის პარტიაში დაწყებული სერიოზული კრიზისის ნიშანია. თუმცა, რაკი „ნაცმოძრაობის“ გარდა ოპოზიციურ ფლანგზე სერიოზული რესურსების მქონე სხვა პარტია არ იძებნება, დასავლეთის მხრიდან ლოგიკურად უნდა ჩანდეს 2024 წლის არჩევნების წინ „ნაცმოძრაობის“ რაღაცნაირად გაძლიერება, უპირველეს ყოვლისა ინტელექტუალური რესურსით და დასავლეთისთვის მისაღები ფიგურებით.

**თუ ამ ვერსიას გავყვებით, სრულიად ახსნადია სააკაშვილის მიერ ქართულ პოლიტიკაში მობრუნების უეცრად გაცხადებული განზრახვა, როდესაც ცოტა ხნის წინ ამას კატეგორიულად უარყოფდა. სააკაშვილი ამიტომაც მოსწონთ ზოგ-ზოგებს დასავლეთში.**

**დასავლეთისთვის მისაღები ლიდერის კანდიდატობაზე ასევე „ქაჩავს“ ნიკა გვარამია, პრინციპით – „ის ნაძირალაა, მაგრამ ჩვენიანი ნაძირალა“. მართალია, ის ვერასოდეს გაექცევა საკუთარ მძიმე წარსულს და ბიოგრაფიას, მაგრამ ჩვენი საზოგადოების ის ნაწილი, რომელზედაც დასავლეთი დებს ფსონს, ამას არაფრად მიიჩნევს და პირიქით, დამსახურებად უთვლის.**

საზოგადოებას არც ის გამორჩებოდა მხედველობიდან, რომ სააკაშვილისგან განსხვავებით, გვარამია არ სიმულირებდა სხვადასხვა დაავადებებს, არ იგონებდა, რომ მოწამლეს, აწამეს და არ ხარჯავდა მილიონებს ციხიდან თავის დასაღწევად. ამ დივიდენდს ის ბოლომდე გამოწურავს. ჩვენი საზოგადოების ერთ ნაწილს წარმოუდგენელი ამნეზია და „სტოკჰოლმის სინდრომი“ სჭირს და ნაწილი, ალბათ, გვარამიასადმი ემპათიასაც კი განიცდის.

დასავლეთის სტრატეგიული მიზანი „ქართული ოცნების“ ხელისუფლებიდან ჩამოშორებაა. ამიტომაც მას სურს, რომ მისთვის მისაღები ე.წ. „პროდასავლური“, უფრო სწორად, „მათიანი“ პოლიტიკური ძალები 2024 წლის არჩევნებს მაქსიმალურად კარგ ფორმაში შეხვდნენ და გვარამიას გათავისუფლებაც ამ გეგმის ერთი ნაწილია.

**როგორ და რითი ხვდება ამ ყველაფერს „ქართული ოცნება“, არის ჯერჯერობით ის პასუხგაუცემელი კითხვა, რომელიც სავარაუდოდ, აქვს საქართველოს ძალიან ბევრ მოქალაქეს, რომლებმაც 2012 წელს „ნაცმოძრაობა“ ხელისუფლებას ჩამოაშორეს იმ იმედით, რომ არასოდეს იხილავდნენ მათ დაბრუნებას. დღეს კი ისინი ამის მცდელობას უყურებენ.**

**ზაალ ანჯაფარიძე**

## პეტრე მამრაძე:

# ზურაბიშვილი მაოხრებელ პოლიტიკურ გვამს ვერ შეიწყალებს!

ვინ იქნება შემდეგი შეწყალებული და რატომ ურჩევენ პრეზიდენტ **ზურაბიშვილს,** ნახევარი ნაბიჯებით არ შემოიფარგლოს და **სააკაშვილიც** გაათავისუფლოს?! ტელეკომპანია „მთავარის“ გენერალური დირექტორის **ნიკა გვარამიას** შეწყალებიდან წამიც არ იყო გასული, რომ სააკაშვილის შეწყალებაზე ალაპარაკდნენ შიდა და გარე ძალები. თავად ნიკა გვარამიამაც ციხის დატოვების შემდეგ სააკაშვილის გათავისუფლება მოითხოვა საქართველოს ეროვნული ინტერესებისთვის და ბოდიში მოიხადა პრეზიდენტ ზურაბიშვილის მიმართ არაპოლიტკორექტულობისთვის, რომლითაც ასაკოვან ქალს უცენზურო სიტყვებით მოიხსენიებდა.

**კელი დეგნანი** მიესალმა ნიკა გვარამიას გათავისუფლებას და დეპოლარიზაციისთვის გადადგმულ ნაბიჯად მოიხსენია. „ქართულ ოცნებაში“ კი არავის სჯერა, რომ გვარამია დეპოლარიზაციას შეუწყობს ხელს, რადგან მის გათავისუფლებას ოპოზიციის მხრიდან ახალი პრეტენზიები მოჰყვა სააკაშვილის შეწყალების შესახებ.

**ლიზა იასკო, გიორგი ვაშაძე, ლევან ბეჟაშვილი, გიორგი გოტკოველი, მაიკლ მაკფოლი** (აშშ-ის ყოფილი ელჩი რუსეთში) და სხვები გვარამიას გათავისუფლებას არასაკმარისად მიიჩნევენ და პრეზიდენტ ზურაბიშვილისგან სააკაშვილის შეწყალებასაც ითხოვენ. თავად სააკაშვილი კი ნიკა გვარამიას გათავისუფლებას ევროპის, ამერიკის და ჩვენი საზოგადოების აქტიურობას უკავშირებს და აფასებს იმ ფაქტს, რომ სულიერად გაუტეხავმა გვარამიამ პირველსავე წუთებში იგი არ დაივიწყა და მისი გათავისუფლებაც მოითხოვა.

მოსალოდნელია თუ არა, პრეზიდენტმა თავისი პირველი ნათქვამი გადათქვას სააკაშვილის „არა და არასდროს“ შეწყალებასთან დაკავშირებით და უცხოეთის მითითებით სააკაშვილიც შეიწყალოს?

„მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი **პეტრე მამრაძე** For.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ პრეზიდენტ ზურაბიშვილის მოქმედების პროგნოზირება შეუძლებელია. თუმცა პრეზიდენტს აქვს დისკრეციული უფლება, შეიწყალოს პატიმარი მხოლოდ იმ საქმეებზე, რაზედაც სასამართლოს უკვე გამოტანილი აქვს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი. სააკაშვილთან დაკავშირებით კი მიმდინარეობს გამოძიება რამდენიმე საქმეზე, რომელიც დასრულებული არ არის.

**„სააკაშვილის წინააღმდეგ აღძრულია საქმეები, რომელთა განაჩენიც ჯერ დამდგარი არ არის, ამდენად, პრეზიდენტი ვერ შეიწყალებს ექსპრეზიდენტს. ზურაბიშვილმა რომც შეიწყალოს სააკაშვილი, ხელისუფლებას შეუძლია მაშინვე დააპატიმროს სააკაშვილი იმის გამო, რომ მის წინააღმდეგ საქმე ძიებაშია. ვფიქრობ, ჩვენს ხელისუფლებას საკმაოდ მტკიცე ნება ექნება იმასთან დაკავშირებით, რომ პრეზიდენტყოფილი არ გაუშვან, რასაც მთლიანად ვიზიარებ, რადგან სააკაშვილი ძალიან სახიფათო ადამიანად რჩება, მე მას ვუწოდებ „მაოხრებელ პოლიტიკურ გვამს“,** – აცხადებს პეტრე მამრაძე და, შეკითხვის საპასუხოდ, რა როლი აქვს **ბიძინა ივანიშვილს** გვარამიას შეწყალების საქმეში, აღნიშნავს, რომ გამორიცხულია, ივანიშვილი ჩართული იყოს ამ პროცესში, რადგან ივანიშვილი უაღრესად გულახდილი და გულწრფელი ადამიანია.

თავის დროზე ჭორიც გავრცელდა, თითქოს გახარია ივანიშვილისაა, ასეთი შეთქმულების თეორია ვრცელდება დღესაც გვარამიას გათავისუფლებასთან დაკავშირებით, მაგრამ ასე არ არის. პეტრე მამრაძის აზრით, გვარამიას შეწყალება ეს არის ზურაბიშვილის გადაწყვეტილება, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის პოლარიზაციას საქართველოში.

პეტრე მამრაძე წუხს, რომ დასავლეთში არ ესმით, რომ გვარამია სააკაშვილის სადისტური რეჟიმის ერთ-ერთი ყველაზე შემზარავი, ამაზრზენი ფიგურა იყო.

**„არა მგონია, ევროკავშირის სტატუსი გვარამიასთან იყოს დაკავშირებული, რადგან ვარჰეიმ თქვა, მხოლოდ სამი რეკომენდაციაა შესრულებული, დანარჩენი არ შესრულებულაო. სინამდვილეში, ევროკავშირის წევრობა არის ფიქცია, მირაჟი, კანდიდატის სტატუსის უკან არაფერი არ დგას. გაიხსენეთ ის აჟიოტაჟი, რაც შექმნილი იყო და რაც არ ეკადრება კულტურულ ერს, რომ აგერ, მოგვცეს ასპირანტის სტატუსი ნატოში, ერთი ამბავი ატყდა, ასპირანტი ქვეყანა გავხდითო, მაგრამ სადაა ხელშესახები შედეგი?!“**, – აინტერესებს პეტრე მამრაძეს.

ამასთან, არ ელის, რომ „მოდელირებული ქრონიკის“ და სხვა საქმეების გამო ისევ შეაბრუნონ გვარამია ციხეში, მით უმეტეს, „მოდელირებულ ქრონიკაში“ გვარამია არ იყო პირდაპირ ჩართული, მაშინ **არველაძე** იყო ტელევიზიის უფროსი და სააკაშვილი იწონებდა ამ სცენარებს. თუმცა პეტრე მამრაძე ადასტურებს, რომ უსაუბრია ევროპაში მომუშავე იურისტებთან, რომლებმაც შეისწავლეს გვარამიას საქმე და დაასკვნეს, რომ არავითარი გამოგონილი დანაშაული არ არსებობს, რომ თურმე გვარამიამ სამსახურის მანქანა გამოიყენა და ამის გამო ჩასვეს. აქ გაფლანგვაზეა საუბარი და გვარამიას საქმეც ზუსტად ჰგავს იმ ფაქტს, რომ ამდენი თანხის გამფლანგავი სააკაშვილი თითქოს პიჯაკების საქმეზე ზის. ნაცები ასეთი საინფორმაციო ომის ოსტატები არიან“, – ასკვნის პეტრე მამრაძე.

მოამზადა
**მანანა ნოზაძე**

# პეროსტრატეს გვერდითაც კი არავინ მოიხსენიებს!

მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. პრეზიდენტად-წოდებული ბოლომდე გაშიშვლდა – ეს არის და ეს. ამ უსამშობლო და უთავმოყვარეო არსებამ „პირნათლად შეასრულა“ **გლობალური ომის პარტიის თბილისის შტაბის მეთაურის, ოფიცერ დეგნანის მორიგი „საბრძოლო დავალება“** და თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ გალერეაში, **„გირჩი-შარვალჩახდილსა“ და მის „თანაჩამხდელებს“** (თანამებრძოლების ანალოგიით) **ახალი ექსპონატი („ნატურა“) დაემატა – „სალომე-ბოლომდე გახდილ-გაშიშვლებული“...**

**ფუ, შენი...**

ყოველგვარი დიპლომატიური ჩარჩოებიდან გასული, ოკეანისგაღმელი დოქსოპულოს გათვლებით, ამ შეწყალებამ საქართველოში ახალ დესტრუქციულ პროცესებს უნდა მისცეს დასაბამი. **მიმდინარეობს ღია ბრძოლა საქართველოს ხელახალი კოლონიზაციისა** და შემდგომ ამისა, **ქართველი ერის საზარბაზნე ხორცად გამოყენების მიზნით.**

ბევრჯერ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ – **ამ გეგმებს ასრულება არ უწერია, რადგან ერი და ბერი, ხალხი და ხელისუფლება ერთიანია ახალ იმპერიულ საფრთხესთან ბრძოლაში.** და რაც მთავარია - **რადგან სიმართლე ჩვენს მხარესაა.**

მტერი ყოველთვის ბევრი გვყავდა, მაგრამ **ჩვენი „ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტი“ სამშობლო დღემდე ღირსებით მოვიდა და დღესაც ღირსებით დგას თავისი წარსულის, აწმყოსა და მომავლის სადარაჯოზე.**

ზემოხსენებულ სახედაკარგულ და სინდისგარეცხილ არსებას კი ისტორია მოსთხოვს პასუხს იმით, რომ **2024 წლის ოქტომბრის მერე, სანაგვეზე გადაგდებულს,** ჰეროსტრატეს გვერდითაც კი არავინ მოიხსენიებს.

**ბიძინა დვალი**

22.06.2023 წ.

## ტვინების გამორეცხვა – სრული სვლით!




# როდის უნდა დაიწყოს სახელმწიფომ მოქმედება? – გუშინ!

# „კართაგენი უნდა დაინგრეს“! ბეჭდვური მედია უნდა გაცოცხლდეს!



**ჩემს წიგნში „რეალითი შოუ საქართველო“, არის ერთი თავი – „ჰოლივუდი გვაფრთხილებს“.**

**„ამოუტენეთ ადამიანს გონება ცნობებით, ფიტულივით ამოტენეთ ამ წყეული ფაქტებით და ეგონებათ, რომ გრწყინვალე განათლება მიიღეს. ეგონებათ, რომ აზროვნებენ და წინ მიდიან. სინამდვილეში ადგილზე იქნებიან გაყინულნი, თუმცა თვითონ ბედნიერად იგრძნობენ თავს.“ რეი ბრედბერი – „451 გრადუსი ფარენჰეიტით“**

გაგიკვირდებათ, მაგრამ ამ უბედურებას ყველაზე აქტიურად ჰოლივუდი ებრძვის. დიახ, სწორედაც რომ ჰოლივუდი, სადაც უამრავი ფილმი გადაიღეს თემაზე, თუ როგორ ხდება ადამიანის ტვინის გამორეცხვა. მისი პიროვნული თვისებების გასწორხაზოვნება. ერთი საკვები, ერთი ტანსაცმელი, უსიცოცხლო სახეებით სამსახურში წასვლა. არანაირი წიგნი, მუსიკა, ფილმი. არანაირი ალკოჰოლი, სიყვარული და ყველაფერი ის, რისთვისაც შექმნილია ადამიანი.

ერთის შეხედვით ყველაფერი რიგზეა. ყველა მაძღარია, შემოსილი, შრომობენ, არა აქვთ არანაირი ყოფითი პრობლემა, მაგრამ...

ისინი არა ადამიანები, არამედ რობოტები არიან. ისინი ჭამენ იმას, რაც დადგენილია სხვადასხვა კვლევებისა და მონიტორინგის შედეგად, იცვამენ იმას, რაც ასევე სხვადასხვა რეზოლუციებშია ასახული, იძინებენ მაშინ, რაც დადგენილი და გამოთვლილია. აკეთებენ იმას, რაც ასევე დადგენილია.

**„მე დღეს შემწვარი კარტოფილი მინდა!“ „არ შეიძლება, იმიტომ, რომ დღეს ოთხშაბათია და ჯანდაცვის რომელიღაც საერთაშორისო ორგანიზაციამ დაადგინა, რომ ოთხშაბათს კარტოფილი მავნებელია. ამიტომ ბარდა უნდა მიირთვა!“**

**„მე დღეს ყვითელი მაისური უნდა ჩავიცვა!“ „არ შეიძლება, იმიტომ რომ ამა და ამ რეზოლუციით პარასკევს წითელი პერანგი უნდა გეცვას!“**

**დ.ა.შ. და დ.ა.შ.**

ადამიანები, ამ სიტყვის ყველაზე მაღალი მნიშვნელობით, აღარ არიან!

მაგალითისთვის ფილმი „მატრიცაც“ კმარა.



მატრიცაში მოქცეულია მთელი სამყარო, მაგრამ საბედნიეროდ კიანუ რივზის გმირი ანგრევს ამ არანორმალურ არსებობას და ადამიანები, მიუხედავად იმისა, რომ დგებიან არა „ჰარმონიული და იდეალური“ არსებობის წინაშე, რომ მათ ექნებათ პრობლემები საკვების მოპოვების, სიცივის გამკლავების და სხვა მრავალი წინაღობის გადალახვის დროს, უბრუნდებიან ნამდვილ ცხოვრებას.

ხდება რევოლუცია. ნამდვილი რევოლუცია, რომელსაც ბუნებრივია, დიდი ნგრევა მოჰყვება, მაგრამ მთავარი – ადამიანი გახდეს ადამიანი, დაუბრუნდეს იმ მდგომარეობას, როგორიც უფალმა შექმნა, მიღწეულია. ასევე ძალიან საგულისხმოა ამერიკული ფილმი „ტრასა 60“, რომელშიც აღწერილია ე.წ. „იურისტთა ქალაქი“, სადაც მოხვედრილი ადამიანი, ვერასგზით ვერ დაიხსნის თავს, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ნებისმიერი ნაბიჯი, უკვე რომელიღაც კანონის დარღვევაა.

**დღევანდელი ე.წ. „დემოკრატიაც“ ზუსტად იმ იურისტთა ქალაქს ჰგავს, რომელიც მიისწრაფვის „მატრიცად“ გადაქცევისკენ. საქართველო კი ერთ-ერთ უბრალო საექსპერიმენტო პოლიგონად არის ქცეული. პოლიგონად, რომელსაც ე.წ. „არასამთავრობო ორგანიზაციები“ ატარებენ ექსპერიმენტებს.**

**ნიურნბერგის პროცესზე განსასჯელთა სკამზე იჯდა ფაშისტური გერმანიის შრომის მინისტრი დოქტორი ლაი – გერმანელ მუშათა ფრონტის შეფი, რომლის იდეას ადამიანების სამ ჯგუფად დაყოფა, წარმოადგენდა.**

ძალიან მოკლედ რომ ვთქვა, ამ თეორიის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ უნდა მომხდარიყო ადამიანების სამ კლასად დაყოფა, რომელთაგანაც ალფა და ბეტა კლასებს ერთმანეთთან არავითარი შეხება არ უნდა ჰქონოდათ.

მათი შერჩევა და გამრავლება უნდა მომხდარიყო ფიზიკური და გონებრივი მონაცემების ნიშნით. მაგალითად: ფიზიკურად ძლიერი ადამიანები და მათი შვილები შეასრულებდნენ ფიზიკურ სამუშაოებს. სახელოვნებო, თუ სამეცნიერო ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები შექმნიდნენ თავიანთი უნარის შესაფერის პროდუქტს.

**ამ ყველაფერს გააკონტროლებდა გამა კლასი, რომლებიც გააკონტროლებდნენ პროდუქტის შექმნის პროცესს, ერთმანეთისგან იზოლაციას, აღზრდას და მათი შრომის ნაყოფს მიიტანდნენ იქ, სადაც საჭიროა.**

**ბავშვები გაიზრდებოდნენ იმ რწმენით, რომ ისინი ბედნიერნი არიან ცხოვრების იმ წესით, რომელშიც ცხოვრობენ, რაც სრულიად გამორიცხავდა დაახლოებას და კონფლიქტის წარმოშობას (ვცადე ძალიან მოკლედ გადმომეცა იმ თეორიის არსი. დარწმუნებული ვარ, რომ მკითხველი სრულ სურათს ადვილად დაინახავს).**

დღეს ნათლად გამოჩნდა, რომ დოქტორ ლაის ეს თეორია არ დაკარგულა და ნიურნბერგის ციხეში, რომელიც ამერიკელების „დაცვის ქვეშ“ იყო, მისი ალკოჰოლიზმისგან „გარდაცვალება“ შემთხვევითი არ ყოფილა.

**თეორია დაიხვეწა და გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ფსევდო-ლიბერალიზმის სახით მისი განხორციელება დაიწყო.**

**„ჰოლივუდი“, სადაც ხდებოდა ფსევდოლიბელარულ მარაზმთან ბრძოლა, დღეს ამ იდეოლოგიის გავრცელების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან ინსტრუმენტად გადაიქცა.**

ზაზა შათირიშვილის წერილში არის საკმაოდ საგულისხმო მონაცემები, რომლებიც ამ თემაზე ფიქრის დროს აუცილებლად საყურადღებოა:

**„ლგბტ პროპაგანდაში აქტიურად არიან ჩართული ჰოლივუდის მსახიობები, რომლებიც ლგბტ შვილებით იწონებენ თავს, საკუთარი არასრულწლოვანი შვილების მიერ სქესის შეცვლას საჯაროდ მხარს უჭერენ, არასრულწლოვან ბიჭებს გოგოს ტანსაცმელს, ხოლო გოგოებს ბიჭის ტანსაცმელს აცმევენ დ.ა.შ.**

**ბოლო დროის განმავლობაში, თითქმის არ შექმნილა ჰოლივუდის პროდუქტი, სადაც ლგბტ პროპაგანდა უხეში ფორმით არ არის შეტანილი. ამის თვალსაჩინო მაგალითია უოლტ დისნეის სტუდიის მიერ გადაღებული საბავშვო ანიმაციური ფილმები, სადაც საყოველთაოდ ცნობილი ზღაპრების პერსონაჟები განსხვავებული სქესით ან სექსუალური ორიენტაციით არიან წარმოჩენილი. ამ ფონზე ახალგაზრდა ამერიკელების 20 პროცენტიანი ლგბტ მაჩვენებელი არავისთვის არ უნდა იყოს გასაკვირი და ეს მაჩვენებელი მომდევნო წლებში უსათუოდ ძალიან სწრაფად გაიზრდება“.**

„ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ ჰოლივუდისა და მისი ლგბტ პროპაგანდის უკან ზუსტად იგივე ოლიგარქიული ოჯახები და კომპანიები დგანან, რომლებიც ომებიდან და პანდემიებიდან ყველაზე დიდ ხეირს ნახულობენ. საკმარისია „გუგლის“ საძიებო სისტემას მიმართოთ და დარწმუნდებით, რომ ჰოლივუდის უმსხვილესი სტუდიების – „უოლტ დისნეი სტუდიოს“, „უნივერსალ პიქჩერსის“, „უორნერ ბრაზერსის“ უმსხვილესი მეწილეები სწორედ „ბლექროკი“ და „ავანგარდი“ არიან, რაც იმის დასტურია, რომ გლობალური ფსევდოლიბერალიზმის ავტორიც გლობალური ომის პარტიაა. „ბლექროკი“ და „ავანგარდი“ არიან „კოკა კოლას“ და „მაკდონალდსის“ უმსხვილესი აქციონერებიც და ქართული „მაკდონალდსის“ საბავშვო პროდუქციაში ლგბტ პროპაგანდის შემცველი ტექსტებიც სწორედ ამას უკავშირდება“.

**მოკლედ რომ ვთქვა, ბეწვის ხიდზე გვიხდება გავლა და შეკითხვაზე – სახელმწიფომ როდის უნდა გამოხატოს თავისი რეაქცია, პასუხია – გუშინ!**

**ისევ დავუბრუნდები ზაზა შათირიშვილის წერილს, რომელშიც ამბობს – საქართველომ ზუსტად ისევე უნდა დაიცვას თავი ფსევდოლიბერალური პროპაგანდისგან, როგორც ომისგან იცავს დღეს თავს.**

**სრული სიმართლეა!**

არ დავიწყებ იმ ისტორიული ფაქტების ჩამოთვლას, თუ როგორ ახდენდნენ მოძალადეები პროპაგანდის საშუალებით დასაპყრობი ხალხის დემორალიზებას და მათი წინააღმდეგობის უნარის გაქრობას.

მაგალითისთვის უბრალოდ ვიტყვი, რომ მონღოლებმა და ფაშისტურმა გერმანიამ შეძლეს და ხვარაზმსა და ჩეხოსლოვაკიაში პანიკა დათესეს და მოახდინეს მოსახლეობის სრული დემორალიზაცია.

ისმის შეკითხვა, თუ როგორ უნდა შეძლოს სახელმწიფომ ამ თავდასხმასთან გამკლავება?

პასუხი ძალიან მარტივია:

კანონი სიცრუისა და ცილისწამების შესახებ, რაც მოძალადეების ხელში უმთავრესი იარაღია;

სიმართლის გავრცელება და რეალური ვითარების მოსახლეობამდე მიტანა, რაც დღევანდელი საინფორმაციო ველის პირობებში ფაქტობრივად შეუძლებელია.

შეუძლებელია თუნდაც იმიტომ,რომ მოძალადეების კონტროლის ქვეშ არსებული მედია-საშუალებების დაფარვის არეალი სიმართლის გამავრცელებელ მედია-საშუალებებს ფაქტობრივად 90%-ით სჭარბობს.

იდეაფიქსში არ ჩამომართვათ, მაგრამ კატონ უფროსის მსგავსად, რომელიც გამუდმებით ამბობდა „კართაგენი უნდა დაინგრეს!“, კიდევ ერთხელ ვიტყვი – ბეჭდური მედია უნდა გაცოცხლდეს!!!

კიდევ არის რამდენიმე ნიუანსი, რომელთა ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს.

**ეს საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი და შეკითხვაზე – როდის უნდა დაიწყოს სახელმწიფომ ამაზე ზრუნვა? პასუხია – გუშინ!**



**გია გაბრიჭიძე**




# შორს არ არის ის დრო, როცა ღრმად ავადმყოფი ევროპა ბავშვებში ლგბტ პროპაგანდას და ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებას მოგვთხოვს!

**ესტონეთი ყოფილი საბჭოთა კავშირის პირველი ქვეყანაა, სადაც ერთნაირსქესიანთა ქორწინებები დააკანონეს.**

**შესაბამისი გადაწყვეტილება ესტონეთის პარლამენტმა მიიღო. თავდაპირველად კანონს ულტრანაციონალისტური პარტია EKRE ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ საბოლოოდ ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა. ახლა კანონს ესტონეთის პრემიერ-მინისტრმა ალარ კარისმა ხელი უნდა მოაწეროს. ძნელი მისახვედრი არ არის, რას იზამს ამ პატარა ქვეყნის პრემიერი.**

ესტონეთამდე გასულ წელს ერთნაირსქესიანთა ქორწინებებს სლოვენიამ დაუჭირა მხარი, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის პირველი ქვეყანაა, სადაც ეს გადაწყვეტილება იყო მიღებული. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირმა ერთნაირი სქესის ადამიანთა ქორწინებებს 2014 წელს დაუჭირა მხარი. მიუხედავად ამისა, ამ საკითხის მიმართ ევროპის ქვეყნებში ერთიანი პოზიცია არ არის. უნგრეთში, პოლონეთსა და ჩეხეთში ამ საკითხის წინააღმდეგ მოსახლეობის დიდი ნაწილი გამოდის.

**30 ქვეყანაში ჩატარდა კვლევა, ვინ თვლის თავს ლგბტ თემის წარმომადგენლად და, რა თქმა უნდა, განსაკუთრებით საყურადღებო იყო საფრანგეთში ჩატარებული კვლევის შედეგები, სადაც აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდების 18-დან 25 წლამდე ასაკის მოსახლეობის 22% თავს ლგბტ-დ აცხადებს, რაც შეეხება აშშ-ს, აქ 20% ამბობს, რომ ლგბტ-ს წარმოადგენენ. არიან ქვეყნები, სადაც კიდევ უფრო მაღალია მაჩვენებელი. მიუხედავად სკეპტიკოსების განცხადებისა, რომ პროპაგანდას გავლენა ვერ ექნებოდა ადამიანის ორიენტაციაზე, პირიქით აღმოჩნდა და დადასტურდა, რომ პროპაგანდას ძალიან დიდი გავლენა აქვს.**

რაც შეეხება საქართველოს, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი აცხადებს, რომ პროპაგანდა კატეგორიულად მიუღებელია, მით უმეტეს, როდესაც ამ პროპაგანდის ადრესატები არიან ბავშვები. პრემიერ-მინისტრ **ირაკლი ღარიბაშვილის** განცხადებით, მისთვის აბსოლუტურად მიუღებელია ის ზღვარგადასული პროპაგანდა, რომელიც უცხოეთში უკვე ბაღებსა და სკოლებში მიმდინარეობს. მთავრობის მეთაური პირობას დებს, რომ ეს ჩვენთან არ მოხდება.

ბავშვებში ლგბტ-ს პროპაგანდა კატეგორიულად მიუღებელია „ქართული ოცნების" თავმჯდომარისათვის, რომლის განცხადებით, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ამას დავუპირისპირდეთ სამართლებრივი ჩარჩოების ფარგლებში. **ირაკლი კობახიძის** განცხადებით, სამწუხაროდ, ლგბტ პროპაგანდას ძალიან ფართო მხარდაჭერა აქვს და იმედოვნებს, რომ ჩვენი ქვეყნის მიმართ არ იქნება წამოყენებული მოთხოვნა, რომ ბავშვებში ლგბტ პროპაგანდას მხარი დავუჭიროთ!

**„ჩვენ გვაქვს განსხვავებული ხედვა. ვფიქრობთ, რომ ფსევდოლიბერალური იდეოლოგია არის ის, რასაც უნდა დავუპირისპირდეთ, იმიტომ, რომ ამას არაფერი აქვს საერთო ჯანსაღ შეხედულებებთან, შესაბამისად, ჩვენ, რა თქმა უნდა, ხმამაღლა გამოვხატავთ ჩვენს პოზიციებს ამ ავადმყოფობასთან დაკავშირებით"**, – განაცხადა **ირაკლი კობახიძემ.**

ანალიტიკოს **ედიშერ გვენეტაძის** განცხადებით, ლგბტ-ს პროპაგანდა პრობლემური არის არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვისაც!

**„პრობლემურია იმ ტრიადისათვის, რომელსაც ჰქვია მამული, ენა, სარწმუნოება. ახლა როგორც ვიბრძვით იმისათვის, რომ საქართველო არ ჩაებას მიმდინარე ომში და საქართველომ თავიდან აიცილოს ის უბედურება, რომელიისაც ჰქვია უკრაინის პარალელურად ჩვენი რუსეთთან ომში ჩაბმა, ასევე უნდა ეცადოს ქართული საზოგადოება და ქართული სახელმწიფო, რომ თავიდან ავიცილოთ ეს უბედურება, რომელსაც ლგბტ-თა მასობრივი შემოსევა ჰქვია.**

**რატომ? – იმიტომ, რომ ეს ეწინააღმდეგება ყოველივე ადამიანურს, ვინაიდან, ადამიანი არის გაჩენილი დედამიწაზე იმისათვის, რომ მან მოახდინოს კვლავწარმოება, ანუ კვლავ პროდუქტიული იყოს. ამით ყველაფერია ნათქვამი. არსებობდნენ ჰომოსექსუალები, მამათმავლები, სულ მუდამ იყვნენ და იქნებიან, მაგრამ ამის პროპაგანდირება არასდორს არ ხდებოდა"**, – აცხადებს გვენეტაძე.

მისივე თქმით, თუკი, რომელიმე იმპერიამ მოახდინა ლგბტ-ს პროპაგანდირება, მაშინვე დაემხო. იმ შემთხვევაში, თუკი ევროკავშირიდან იქნება მითითება, რომ უკვე კანონის დონეზე იქნას მიღებული ლგბტ პროპაგანდა, ანალიტიკოსი აცხადებს, რომ ქართველი ხალხი ამას არ დაუშვებს.

ამიტომ, ვინც პროპაგანდირებას ახდენს, მიდის დასასრულისაკენ, განადგურებისაკენ და ჩვენი საქართველო, დარწმუნებული ვარ, ამ გზას არ დაადგება!

პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** თვლის, რომ პროპაგანდის კანონმდებლობის საფუძველზე მიღება დამოკიდებული იქნება კანონმდებლებზე და ბუნებრივია, რომ ძალიან ხშირად სწორედ მათი, ანუ ამა თუ იმ ქვეყნის მმართველი ელიტა წყვეტს ამ საკითხს და არა მოსახლეობა.

**„კარგად გვახსოვს, რამდენად განსხვავებული იყო მოსახლეობის და ხელისუფლების დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ საფრანგეთში, სადაც მრავალათასიანი აქციები ეწყობოდა, მაგრამ პრეზიდენტმა მაინც თავისი გაიტანა. ასე რომ, ელიტას გააჩნია და არის კიდევ მეორე მომენტი, საქართველოში საბედნიეროდ, ჯერჯერობით, ქრისტიანული პრინციპების დამცველები გაცილებით ჭარბობენ. მით უმეტეს, რომ ჩვენ დემოგრაფიული საფრთხის წინაშე მყოფი ქვეყანა ვართ და თუკი ეს ფაქტორიც დაემატება ჩვენი ქვეყნის პირობებში, შეიძლება ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩავარდეს ქვეყანა სამომავლო პერსპექტივაში. დემოგრაფიული გამოსწორების გზები არაა ჯერ მოძებნილი. აი, ახლახან მინისტრის მოადგილეების დონეზე პროექტების შედგენა გადაწყვიტეს სწორედ იმიტომ, რომ ეს პრობლემა საქართველოსთვის ძალიან მწვავე სახეს იღებს".**

როგორც პოლიტოლოგი აცხადებს, თავი რომ დავანებოთ იმას ევროპელები ვართ, თუ ევროპაში გვინდა, თუნდაც ამ პრობლემიდან გამომდინარე, სახიფათოა ქვეყნისთვის ამ გზაზე დადგომა და სწორედ ამიტომაც არის მთელ რიგ ქვეყნებში პრობლემა ის, რომ ახალი თაობის გენერირებას ბლოკავს ის წესები, რომლებიც აკანონებენ სქესთა შორის არატრადიციულ ურთიერთობებს.

**„ეს ქვეყნის და კულტურის განვითარებისთვის სახიფათო ტენდენციაა. ამას აცნობიერებენ თუ არა ევროპაში, არ ვიცი, იმიტომ, რომ ევროპელებმა ძალიან აითვისეს ასეთი მეთოდი – რაღაცა გადაწყვეტილებას იღებენ და მერე იძახიან უი, შეგვეშალაო. ეს ისეთი გადაწყვეტილებაა, რომელიც ვიწრო პოლიტიკურ საკითხებშიც ჩანს, ამის მოწმე ვართ.**

**მაგრამ ეს არაა ვიწრო პოლიტიკური საკითხი და აქ მომხდარმა შეცდომამ შეიძლება ძალიან ღრმა კვალი დატოვოს მთლიანად ქვეყნის ბედზე. ამიტომ, ჯერ ევროპელებმა გაარკვიონ რისი მომცემი არის ეს პოლიტიკა და მერე ჩვენ, როგორც პატარა და მძიმე დემოგრაფიის მქონე ქვეყანამ"...** – აღნიშნა **საყვარელიძემ.**

**თამთა ქარჩავა**



# მაჭახელა – ულამაზესი დაცული მიწა-წყალი საქართველოში

**მაჭახელას ეროვნულ პარკს საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის წევრები ესტუმრნენ.**

საინფორმაციო ვიზიტის ფარგლებში, კომიტეტის წევრებმა მაჭახელას ეროვნული პარკის თანამედროვე ვიზიტორთა ცენტრი მოინახულეს, გაეცნენ მაჭახელას ეროვნული პარკის საქმიანობას როგორც უნიკალური ბიომრავალფეროვნების დაცვაშენარჩუნების, ისე ეკოტურიზმის განვითარების მიმართულებით; მოინახულეს მაჭახელას დაცული ლანდშაფტი, რომელიც გასულ წელს შეიქმნა და ხელს შეუწყობს ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობების შენარჩუნებას, რეკრეაციული და ტურისტული აქტივობების განხორციელებას, რაც დადებითად აისახება ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

**მაჭახელას ეროვნული პარკი უნიკალური ბუნებით გამორჩეული, ერთ-ერთი პოპულარული დაცული ტერიტორიაა საქართველოში, რომელიც თვალსაჩინო მაგალითია დაცული ტერიტორიების სისტემისა და მიმდებარე მოსახლეობის ჰარმონიულად თანაცხოვრების.**

**მაჭახელას დაცული ტერიტორიების განვითარების პროცესში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან ერთად, აქტიურად არიან ჩართული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, მაჭახელას ხეობის ადგილობრივი მოსახლეობა, გაეროს განვითარების პროგრამა და კავკასიის ბუნების ფონდი.**

# ვიქტორ რცხილაძის ორი წიგნი




გამოვიდა XX საუკუნის გამოჩენილი ფილოსოფოსის, ინტუიტივიზმის ფუძემდებლის, პერსონალისტის – **ნიკოლაი ლოსკის** ორი ნაშრომი ერთ წიგნად: „სამყარო, **როგორც ორგანული მთლიანობა**" და **„ნების თავისუფლება"**.

წიგნი ჩვეული ოსტატობით თარგმნა და „ბოლოსიტყვაობები" დაურთო ცნობილმა მთარგმნელმა და ფილოსოფოსმა **ვიქტორ რცხილაძემ**.

ამავე დროს, გამოვიდა თავად ვიქტორ რცხილაძის ორიგინალური ნაშრომი – **„უფსკრულის პირას"**, რომელიც წარმოადგენს ფილოსოფიურ-თეოლოგიურ ესეს და ეხება საქართველოს საჭირბოროტო საკითხებს, მსოფლიო მოვლენებთან ერთად.

**წიგნები იყიდება მაღაზიებში: „ლატერნა", „პარნასი", „სანტა-ესპერანსა" (სანკტ-პეტერბურგის ქ. 12), „ბუკმარკი" (არაყიშვილის 5).**



# რას არ გაიგებ!..



გრიგორი ჩხარტიშვილი:

# გადატრიალებები ასე არ ხდება



ცნობილმა რუსმა მწერალმა და რუსეთის ისტორიის მკვლევარმა **გრიგორი ჩხარტიშვილმა (ბორის აკუნინმა)** პარალელი გაავლო კერძო სამხედრო კომპანია „ვაგნერის“ მეთაურის, **ევგენი პრიგოჟინის** მიერ ორგანიზებულ ამბოხებასა და რუსეთის ისტორიაში უკანასკნელი 100 წლის განმავლობაში მომხდარ მსგავს მოვლენებს შორის.

**„რუსეთის სახელმწიფო ჩვენ თვალწინ იშლება. ამ მასშტაბის სამხედრო ამბოხი არ ყოფილა სამოქალაქო ომის შემდეგ. თავად დიქტატორმა, სტაბილურობის გარანტმა, მოაწყო ამგვარი ბანანის ტურბულენტობა. თავდაპირველად კანონის დარღვევით ქმნის დაქირავებულთა ცუდად კონტროლირებად შეიარაღებულ სტრუქტურას, რომელიც ფინანსდება ასევე კანონის გვერდის ავლით. უფლებას აძლევს გადაიბიროს და დაიქირაოს სისხლის სამართლის დამნაშავეები. ეს ყველაფერი ხდება დიქტატორის პირადი ომის ფონზე, რომელიც მან დაიწყო მხოლოდ საკუთარი ეგოს მოსაფხანად. ჩაჩუმებულ რუსეთს თავი ჩაურგავს მხრებში და უყურებს, როგორ მხნედ მიჰყავს კაპიტანს გემი აისბერგისკენ. ასე იშლებიან იმპერიები – უხსოვარი დროიდან, ძველი რომიდან მოყოლებული, მაგრამ ისტორიული პარალელების ძებნაში ძალიან შორსაც ნუ წავალთ“,** – წერს ბორის აკუნინი და ჩამოთვლის ბოლო 100 წლის განმავლობაში მომხდარ სამ მსგავს რუსულ სამხედრო აჯანყებას, რომლებიც, როგორც მწერალი ამბობს, სამი სრულიად განსხვავებული შედეგით დასრულდა და, როგორც ჩანს, ამჯერად ყველაფერი ამ სამი სცენარიდან ერთ-ერთის მიხედვით მოხდება:

**1. გენერალ კორნილოვის გამოსვლა 1917 წლის აგვისტოში.** უზენაესმა ხელისუფალმა კერენსკის სახით თვითონ შექმნა განცდა მთავარსარდალში, რომ ის იყო სამშობლოს ერთადერთი მხსნელი, თავად გააღვივა პატრიოტული ისტერია და შემდეგ უკან დაიხია, როდესაც მრისხანე გენერალმა დედაქალაქისკენ დაძრა „ველური დივიზია“. როგორც ახლა, ამბოხი მაშინაც პერიფერიაში დაიწყო, რამაც წინასწარ გადაწყვიტა მისი ბედი. საკმარისი აღმოჩნდა კომუნიკაციების დაბლოკვა და მსვლელობა დედაქალაქისკენ ჩაიშალა. ჯერ კიდევ ბალახისმჭამელთა დროება იყო, ამიტომ მეამბოხე უბრალოდ დააპატიმრეს.

**2. აღმოსავლეთის ფრონტის სარდლის, სოციალ-რევოლუციონერ მიხეილ მურავიოვის ამბოხი 1918 წლის ივლისში**, რომელიც მოხდა იმის გამო, რომ მთავარსარდალი აღაშფოთა როგორც ბოლშევიკების მიერ მოწყობილმა მისი თანაპარტიელების ხოცვა-ჟლეტამ, ასევე სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ბრესტის ზავის გაფორმებამ და რუსეთის შერცხვენამ. ბოლშევიკებმა, დროებითი მთავრობისგან განსხვავებით, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე დახვრიტეს მურავიოვი.

**3. წითელი არმიის დონის კორპუსის მეთაურის ფილიპ მირონოვის აჯანყება 1919 წლის სექტემბერში.** როგორც ახლა, მაშინაც აჯანყება არ ისახავდა მიზნად ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლას და ყოველმხრივ გამოხატავდა ლოიალობას ლენინის მიმართ. როგორც ახლა, აჯანყებულებმა მაშინაც მტერ-მავნებლად გამოაცხადეს ომის მინისტრი (სახალხო კომისარი) ტროცკი. ამბოხება მშვიდობიანად დასრულდა: კორპუსმა კვლავ დაიწყო ბრძანებების შესრულება, მირონოვი კი მეთაურად დააწინაურეს (თუმცა შემდეგ მაინც დახვრიტეს).

**„მალე ვნახავთ, რა სცენარს გაჰყვება პრიგოჟინის პუტჩი – კორნილოვის, მურავიოვის თუ მირონოვისას. ყოველ შემთხვევაში, გადატრიალებები ასეთი გამოხდომებით არ ხდება“**, – ასკვნის გრიგორი ჩხარტიშვილი (ბორის აკუნინი).

23 ივნისის საღამოს, „ვაგნერის“ კერძო სამხედრო კომპანიის დამფუძნებელმა ევგენი პრიგოჟინმა რუსი სამხედროები დაქირავებულთა ბანაკზე თავდასხმაში დაადანაშაულა და გამოაცხადა, რომ ფაქტობრივად სამხედრო გადატრიალებას გეგმავს რუსეთში. ამას მან „სამართლიანობის მარში“ უწოდა. პუტინმა „ვაგნერი“ ამბოხის მცდელობაში დაადანაშაულა და მათ ქმედებებს „ზურგში დარტყმა“ უწოდა.

24 ივნისის დილისთვის „ვაგნერის“ მებრძოლებმა დაიკავეს დონის როსტოვი. მოგვიანებით, გაჩნდა ინფორმაცია, რომ ისინი ვორონეჟში რამდენიმე სამხედრო ობიექტს აკონტროლებენ. რეგიონის გუბერნატორმა ალექსანდრ გუსევმა განაცხადა, რომ რეგიონში მიმდინარეობს „ოპერატიული საბრძოლო მოქმედებები“...

## „ვაგნერელთა“ ოდისეა დასრულდა

**„ვაგნერმა“ მოსკოვისკენ სვლა შეწყვიტა. კერძო სამხედრო კომპანია „ვაგნერის“ მებრძოლები, რომლებიც მოსკოვისკენ მიემართებოდნენ, თავიანთ კოლონებს უკან აბრუნებენ. ამის შესახებ ნათქვამია „ვაგნერის“ დამფუძნებლის, ევგენი პრიგოჟინის პრესსამსახურის მიერ ტელეგრამარხში გავრცელებულ აუდიომიმართვაში.**

განცხადების თანახმად, ეს გადაწყვეტილება მიღებულია რუსეთში სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად.

**„კერძო სამხედრო კომპანია „ვაგნერის“ გაუქმება უნდოდათ. 23 ივნისს ჩვენ გამოვედით სამართლიანობის მარშზე. ჩვენ მოსკოვამდე 200 კილომეტრი გვაშორებდა. ამ პერიოდში ჩვენ არ დაგვიღვრია ჩვენი მებრძოლების არც ერთი წვეთი სისხლი. ახლა დადგა მომენტი, როდესაც შეიძლება, დაიღვაროს სისხლი. ვინაიდან გვესმის მთელი პასუხისმგებლობა იმაზე, რომ იქნება დაღვრილი რუსული სისხლი რომელიმე მხრიდან, ჩვენ უკან ვატრიალებთ ჩვენს კოლონებს და ვბრუნდებით საველე ბანაკებში გეგმის თანახმად“**, – ნათქვამია პრიგოჟინის აუდიომიმართვაში.

იხ. 10 გვ.

# ციხიდან თავი დაიხსნა, მაგრამ...




## უკრაინაში ტყვედ ჩავარდნილი „რუსი“ ნოდარ ბახტურიძის თავგადასავალი

**ამჟამად უკრაინელების ტყვეობაში მყოფ ნოდარ ბახტურიძეს ნუკრიანში მცხოვრები ნათესავები ბოლოს მაისის დასაწყისში ესაუბრნენ. ამ დროს ის ჯერ კიდევ რუსეთში, კოლონიაში იყო. როგორ მოხვდა ბლაგოვეშჩენსკის კოლონიიდან ნოდარ ბახტურიძე ბახმუტში, მისი ნათესავი და მეგობარი ჰყვება.**

გუშინ, 21 ივნისს ტელეარხმა FREEDOM-მა უკრაინაში ტყვედ ჩავარდნილ ნოდარ ბახტურიძესთან ჩაწერილი ინტერვიუ გაავრცელა. ვიდეოში ის ამბობს: **„თავიდანვე მქონდა ეს იდეა: ჩავბარებოდი (ტყვედ უკრაინას) და ჩემს სამშობლოში, საქართველოში თავშესაფარი მომეთხოვა“.**

ნოდარ ბახტურიძის ამ ვერსიის ნამდვილობაში დარწმუნებულია მისი ბავშვობის მეგობარი ზვიად ნადირაშვილი, რომელიც ნოდარს ბოლოს 6 მაისს ესაუბრა რუსეთის კოლონიაში.

**„ჩვენ რამდენიმე სცენარი დეტალურად გავიარეთ – თუ შენ გაწევრიანდები და მოგიწევს წასვლა და თუ პირველივე ცდაზე მოახერხებ გადასვლას უკრაინის მხარეს, ეს სცენარი შეგიძლია განიხილო-მეთქი. ყველა სცენარი ძალიან სარისკოა, მაგრამ იმდენად ავად იყო, ეგ დარჩენილ 6 წელს ციხეში ვეღარ გადაიტანდა“**, – ამბობს **ზვიად ნადირაშვილი,** რომელიც აზუსტებს, რომ ნოდარი კოლონიაში არალეგალურად სარგებლობდა მობილური ტელეფონით.

ამ საუბრის მომენტისთვის უკრაინის ომში მონაწილეობისთვის პატიმრების რეკრუტირება უკვე რუსეთის თავდაცვის სამინისტროსაც ჰქონდა დაწყებული.

უკრაინულ FREEDOM-თან საუბარში ტყვეობაში მყოფი ნოდარ ბახტურიძე ჰყვება, რომ კოლონიიდან ბახმუტში ჩაყვანამდე ორკვირიანი სამხედრო სწავლება გაატარეს სამხედრო პოლიციის ზედამხედველობით. თუმცა, სწავლებას უფრო პროპაგანდისტული მიზანი ჰქონდა, ვიდრე საბრძოლო მომზადებისა – **„ხეიბარი ხალხი იყო, რა ბრძოლა?!“**, – ნოდარ ბახტურიძე ჰყვება, რომ მასთან ერთად ომში ყავარჯნიანი და ხელჯოხიანი ხალხი წაიყვანეს კოლონიიდან. მიზანი **„მათი უტილიზაცია და ამოწყვეტა იყო“**, – ამბობს ტყვეობაში მყოფი ბახტურიძე.

ზვიად ნადირაშვილი ვარაუდობს, რომ ნოდარმა საპატიმრო 25 მაისს დატოვა. ნოდარის დისშვილმა დავით მერებაშვილმა, ბიძის სამხედრო წვრთნაში მონაწილეობის შესახებ ბიძაშვილისგან შეიტყო. **„შვილისთვის დაურეკავს და უთქვამს, წვრთნაზე წამიყვანესო“**, – დავითი ამბობს, რომ არ გაჰკვირვებია, ვინაიდან უკრაინის ომში წასვლით ციხიდან თავის დახსნის გეგმა ნოდარს შარშანდლიდან ჰქონდა.

**„მძიმედ იყო ავად, C ჰეპატიტი და მხედველობის პრობლემა ჰქონდა. კოლონიაში წამლებსაც არ აძლევდნენ, ეგ დიდხანს ვერ იცოცხლებდა“**, – ამბობს **დავითი.**

50 წლის ნოდარ ბახტურიძე, სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ნუკრიანში დაიბადა და გაიზარდა. სკოლის დამთავრების შემდეგ აფხაზეთის ომში იბრძოდა, ახალციხის ბატალიონში ირიცხებოდა.

ომის დასრულებიდან მალე, დაახლოებით 2 წელიწადში, ნათესავის დახმარებით ჯერ მოსკოვში მშენებლობაზე დასაქმდა, მოგვიანებით შორეული აღმოსავლეთის, ამურის ოლქის ქალაქ ტინდაში გადავიდა, შექმნა ოჯახი, ჰყავს ორი ვაჟი.

ზვიად ნადირაშვილის ინფორმაციით, ნოდარს ავტომობილები ჩამოჰყავდა იაპონიიდან. საქართველოშიც გზავნიდა. სამშობლოში დაბრუნებასაც გეგმავდა. მაგრამ ამ დროს „მკვლელობის ბრალდებით გაასამართლეს“. 10-წლიან პატიმრობას ის ამურის ოლქის ბლაგოვეშჩენსკის კოლონიაში იხდიდა. FREEDOM-ისთვის მიცემული ინტერვიუდან ირკვევა, რომ ბახტურიძე დანაშაულთან კავშირს ამ დრომდე უარყოფს.

4-წლიანი პატიმრობის თავზე ნოდარ ბახტურიძე რუსეთის თავდაცვის სამინისტროსთან კონტრაქტს აფორმებს და კერძო სამხედრო კომპანია „ვეტერანებში“ ირიცხდება. მისი ინტერვიუს მიხედვით, ფრონტის ხაზზე მოხვედრიდან ორ დღეში განზრახ ჩაბარდა ტყვედ კიდევ 5 ადამიანთან ერთად.

**„ეს იყო თავის გადარჩენის გზა, ადამიანმა თავზე დაამხო რუსულ სპეცსამსახურებს ყველაფერი“**, – ამბობს ზვიად ნადირაშვილი.

ნოდარ ბახტურიძე რუსეთის მოქალაქეა და 30 წელია რუსეთში ცხოვრობს. საქართველოს მოქალაქეობა დაკარგული აქვს. FREEDOM-თან ინტერვიუში ამბობს, რომ სურს საქართველოს ან „ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანას“ პოლიტიკური თავშესაფარი სთხოვოს.

ზვიად ნადირაშვილის თქმით, მისი მეგობარი „ფაქტობრივად, რუსეთში იყო ტყვეობაში და ტყვეობიდან დაიხსნა თავი“.

თვითონ ნოდარ ბახტურიძე უკრაინულ მედიასთან ინტერვიუში ამბობს, რომ დიდი ხანია თვალს ადევნებს და გულშემატკივრობს უკრაინას, რადგან მისი სამშობლო, „საქართველო იგივე უბედურებაშია“.

დავით მერებაშვილის თქმით, მისი ბიძის შესახებ ინფორმირებულია უკრაინაში საქართველოს საკონსულო და საქართველოში უკრაინის საელჩო. **„ჯერჯერობით რაიმე იურიდიული ნაბიჯების გადადგმას არ ვჩქარობთ. მგონია, რომ ნოდარი უკრაინაში დარჩება“**.

უცნობია, შეძლებს თუ არა ტყვეობაში მყოფი ნოდარ ბახტურიძე საქართველოსთვის თავშესაფრის თხოვნით მიმართვას. ამგვარი შესაძლებლობის მიცემისა და მისი სურვილის შემთხვევაში მას საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთვის მიმართვა მოუწევს.

**ნინო ხარაძე,**

**„რადიო თავისუფლების“ ახალი ამბების რედაქტორი.**

# სოხუმში აპარტამენტების კანონის და ახალი კოლონიზაციის ეშინიათ




**აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკაში კანონპროექტი „აპარტ-ოტელებისა და აპარტამენტების სამართლებრივი მდგომარეობის მოწესრიგების შესახებ“ დაპირისპირების მორიგი საგანი ხდება. დე ფაქტო პრეზიდენტის, ასლან ბჟანიას ადმინისტრაციის მიერ პარლამენტში შეტანილ პროექტს მწვავედ აკრიტიკებენ როგორც ადგილობრივი ოპოზიციური პარტიები, ასევე საზოგადოებრივი ორგანიზაციები. აფხაზეთში ბევრი შიშობს, რომ „აპარტამენტების ანტისახალხო კანონის“ მიღება, როგორც ისინი უწოდებენ ამას, დააკანონებს მიწის ყიდვა-გაყიდვას, რაც თავის მხრივ სათავეს დაუდებს აფხაზეთში უცხოელების ჩასახლებისა და აფხაზეთის კოლონიზაციის ახალ ეტაპს.**

ოკუპირებულ ტერიტორიაზე დე ფაქტო პარლამენტის სახელმწიფო-სამართლებრივი



მშენებლობა სოხუმში.
2023 წლის მარტი

პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარემ **დაუთ ხუტაბამ** 21 ივნისს განაცხადა, რომ გაიმართა კომიტეტის დახურული სხდომა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ასლან ბჟანიას ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა. ხუტაბა ირწმუნება, რომ მომავალში გაიმართება საპარლამენტო კომიტეტის ღია სხდომები, რომლებზეც განსახილველი საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მოწვეულნი იქნებიან საზოგადოების წარმომადგენლები.

**„ეს არ არის სწრაფი პროცესი, ჩვენ მოვიწვევთ სპეციალისტებს, საზოგადოების წევრებს და გავივლით მათთან კონსულტაციებს“,** – თქვა მან.

## რას ამბობს კანონპროექტი?

**აპარტ-ოტელი** – კანონპროექტის მიხედვით, ეს არის არასაცხოვრებელი კომპლექსი, რომელიც შედგება ერთი ან რამდენიმე შენობისა და მიმდებარე მიწის ნაკვეთისგან, რომელიც ასევე მოიცავს არასაცხოვრებელ კომერციულ სათავსოებს ადამიანების დროებითი ადგილსამყოფლის სახით და სხვა კომერციული საქმიანობის წარმოებისათვის.

**აპარტამენტი** – ეს არის აპარატ-ოტელში მდებარე არასაცხოვრებელი კომერციული სადგომი არანაკლებ 20 კვადრატული მეტრი ფართობისა, რომელიც შედგება ერთი ან მეტი ოთახის, დასაძინებელი ადგილებისა და სამზარეულო ზონისგან.

ასლან ბჟანიას აპარატის მიერ მომზადებული კანონპროექტის მიხედვით, 10-12 წლის განმავლობაში აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე უნდა აშენდეს აპარტ-ოტელები ჯამში 30 ათასი აპარტამენტით (ერთ რაიონში არაუმეტეს 5 ათასისა);

**კანონის მიღების შემთხვევაში:**

- **შეიქმნება 2 მლნ კვ. მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი, რისთვისაც გამოიყოფა 300 ჰა მიწა**
- **მოზიდული იქნება (2025 წლამდე) 160 მლრდ რუბლი (1,9 მლრდ დოლარი)**
- **მშენებლობის დროს ხელფასების სახით გაიცემა 32 მლრდ რუბლი (380 მლნ $)**
- **10 მლრდ (119 მლნ $) შევა ბიუჯეტში საშემოსავლო გადასახადის სახით**
- **ტურიზმის ბიზნესში შეიქმნება 13 ათასი ახალი სამუშაო ადგილი**
- **არსებულ გადასახადებს დაემატება აპარტამენტების მოსაკრებელი: 1000 რუბლი (124) 1 კვ. მეტრზე. რაც დამატებით წელიწადში 2 მლრდ რუბლის (24 მლნ $) შემოსავალს გააჩენს.**
- **30 ათასი აპარტამენტის მშენებლობა 1,5 მლნ-ით გაზრდის ტურისტების რაოდენობას**
- **დაიწყება აფხაზეთის გაზიფიკაციის პროგრამა, რომლის ღირებულება 59 მლრდ რუბლია (700 მლნ $)**

„აპარტ-ოტელებისა და აპარტამენტების სამართლებრივი მდგომარეობის მოწესრიგების შესახებ“ კანონპროექტის მიხედვით, აპარტამენტი შეიძლება იყოს როგორც ინდივიდუალური, ასევე საერთო საკუთრება: „აპარტ-ოტელის კომპლექსი (მათ შორის, საერთო სარგებლობის ადგილები) წარმოადგენს კერძო საკუთრებას, რის გამოც მის ტერიტორიაზე შესვლა შეზღუდულია კანონმდებლობით“.

**აპარტ-ოტელებისათვის მიწის ნაკვეთების გადაცემა და აპარტამენტების შეძენა ეკრძალებათ იმ ადამიანებს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ 1992-93 წწ.-ის ე.წ. აფხაზი ხალხის სამამულო ომში, ან ამავე პერიოდში თანამშრომლობდნენ „საოკუპაციო რეჟიმთან“, ან სხვა დროს მონაწილეობდნენ საბრძოლო მოქმედებებში, რომლებიც მიმართული იყო აფხაზეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ, ან სჩადიოდნენ დანაშაულს აფხაზეთის ტერიტორიაზე შეიარაღებული ფორმირებების შემადგენლობაში და ა.შ.**

აფხაზეთში დე ფაქტო პრეზიდენტის აპარატის მიერ მომზადებულ კანონპროექტს აკრიტიკებენ როგორც ეკონომიკური, ასევე (განსაკუთრებით) პოლიტიკური კუთხით. საზოგადოებრივი მოძრაობა **„ახიაცა“** 21 ივნისსავე შეშფოთებით გამოეხმაურა დე ფაქტო პარლამენტში გამართულ შეხვედრას.

**„აშკარაა, დღევანდელ პოლიტიკურ რეალობაში აპარტამენტების შესახებ კანონის მიღება ხელს შეუწყობს აფხაზეთში დემოგრაფიული ბალანსის დარღვევას, ასიმილაციის ახალი ტალღის დაწყებას, გამოიწვევს პოლიტიკურ დაძაბულობას და დროთა განმავლობაში მოამზადებს ნიადაგს აფხაზეთის დამოუკიდებელი სტატუსის შეცვლისთვის“**, – წერია ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ბოლო ერთი წლის განმავლობაში აფხაზეთში თითქმის არ დარჩა ავტორიტეტული მოქალაქე, შემოქმედებითი და სამეცნიერო ინტელიგენციის წარმომადგენელი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, ომის ვეტერანი, ბიზნესმენი, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი, რომლებმაც სხვადასხვა ფორმით და სხვადასხვა პლატფორმიდან არ მიმართეს ასლან ბჟანიას და დე ფაქტო რესპუბლიკის ხელისუფლებას კანონპროექტზე უარის თქმის მოთხოვნით, თუმცა, მიუხედავად ამისა, კანონპროექტი მაინც შევიდა პარლამენტში. „ახიაცაში“ მიაჩნიათ, რომ ამოწურულია ასლან ბჟანიას ხელისუფლებასთან დიალოგის ყველა ფორმა, ამიტომ ორგანიზაციის წევრები მიმართავენ დეპუტატებს:

- **გამოიყენონ თავიანთი უფლება და არ განიხილონ ანტიაფხაზური კანონპროექტი აპარტამენტების შესახებ. ეს გადაწყვეტილება გამოცხადდეს მედიაში 01.07.2023-მდე.**
- **„თუ საკითხი კენჭისყრაზე მაინც დადგება, ჩვენ ისღა დაგვრჩენია, გამოვიყენოთ აფხაზეთის მოსახლეობისთვის კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილება, შევიკრიბოთ სამთავრობო შენობების კომპლექსთან და არ დავუშვათ ამ კანონის, როგორც ჩვენი სახელმწიფოს საფუძვლების შემლახველი დოკუმენტის მიღება“,** – წერია განცხადებაში.

„ახიაცა“ მოქალაქეებს საპროტესტო გამოსვლებისკენ მოუწოდებს. აპარტამენტების შესახებ კანონის შესაძლო მიღებით შეშფოთებული მოქალაქეების ნაწილი ისედაც ემზადება გადამწყვეტი ბრძოლისთვის. როგორც სამოქალაქო აქტივისტი და ომის ვეტერანი **ლაშა ზუხბა** ამბობს, სულ მალე გაიხსნება შტაბი, რომლის მიზანი იქნება არ დაუშვას აპარტამენტების შესახებ კანონპროექტისა და სხვა მსგავსი კანონების მიღება:

**„მინდა ვაცნობო ყველა თანამოაზრეს, რომ იწყება მეწვრილმანეებთან ბრძოლის ახალი ეტაპი. დროა, ან ჩვენ მოვიშოროთ ისინი, ან მათ მოგვიშორონ ჩვენ. P. S. აფსნის მომავალი თავისუფლებაა“!..**

განცხადება გაავრცელა **„აფხაზეთის ეროვნულმა კონფერენციამ“**, რომელიც შეშფოთებულია რესპუბლიკის მოსახლეობაში აფხაზების წილის შემცირების, უკონტროლო იმიგრაციისა და უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე საცხოვრებელი ფონდის შესაძლო მიყიდვის გამო.

**„ეროვნული კონფერენცია“ „აპარტ-სასტუმროების შესახებ“ კანონის პარლამენტიდან გაწვევის გარდა ითხოვს:**

- **უარი ითქვას აფხაზეთის რესპუბლიკის სტრატეგიული დარგების (ენერგეტიკა, სარკინიგზო და საპორტო ინფრასტრუქტურა) დენაციონალიზაციის გეგმებზე**
- **გამოცხადდეს მორატორიუმი რეკრეაციულ და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე ტურისტული და სხვა სახის ფართომასშტაბიანი კლასტერების მშენებლობაზე, რადგან ასეთი კლასტერების შექმნა შეიცავს ეკოლოგიურ, სოციალურ და დემოგრაფიულ რისკებს**
- **მიღებულ იქნეს კანონი რეპატრიანტებისთვის მიწის ნაკვეთების დარეზერვების შესახებ**
- **გამოცხადდეს დროებითი მორატორიუმი უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქეობის მინიჭებასა და ბინადრობის ნებართვის მიცემაზე**
- **შეიქმნას სახელმწიფო კომისია, რომელიც შეისწავლის უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქეობისა და ბინადრობის ნებართვის გაცემის კანონიერებას**
- **ჩატარდეს აფხაზეთის რესპუბლიკაში მოსახლეობის აღწერა**

**„აშკარაა, რომ იდეოლოგიური, კონცეპტუალური და მეცნიერული მიდგომის არარსებობის პირობებში, აფხაზეთში სახელმწიფო ძალაუფლება იქცა ქონების მოხვეჭის საშუალებად გარკვეული ჯგუფებისა და კლანებისათვის, რომლებიც მართავენ ადმინისტრაციულ რესურსებს და ძალაუფლებას აღიქვამენ მხოლოდ ფინანსური და ეკონომიკური ინტერესების პრიზმაში. ასეთი მდგომარეობა დიდხანს ვერ გაგრძელდება, მას აუცილებლად ექნება დამანგრეველი შედეგები ჩვენი სახელმწიფოსა და ხალხისთვის, გამოიწვევს ქვეყნის ეთნიკური ლანდშაფტის შეცვლასა და სუვერენიტეტის საბოლოო დაკარგვას“,** – ნათქვამია აფხაზეთის ეროვნული კონფერენციის განცხადებაში, რომლის მიხედვითაც, **„შიდაპოლიტიკური ესკალაციის თავიდან ასაცილებლად ასევე აუცილებელია საკანონმდებლო დონეზე დარეგულირდეს აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების (იმპიჩმენტის) საკითხი“.**

აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის პარლამენტის ყოფილი დეპუტატი **ლეონიდ ჩამაგუა** დარწმუნებულია, რომ „აპარტამენტების კანონი“ სხვა არაფერია, თუ არა აფხაზეთში უცხოელების ჩამოსახლების მორიგი პროექტი.

**„ეს ჩვენ ადრეც გამოვიარეთ. ამან ძალიან დაგვაზარალა. რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, უკვე არაერთხელ მოგვატყუეს“,** – ამბობს ლეონიდ ჩამაგუა, რომელიც შიშობს, რომ აფხაზეთი გადაიქცევა „მესამეხარისხოვან ქვეყნად ღარიბი მოსახლეობითა და გაუგებარი ეკონომიკური მოდელით“. აფხაზეთის რესპუბლიკის საზოგადოებრივი პალატის წევრის **თენგიზ ჯოპუას** თქმით კი, აპარტამენტების (ბინების) კანონი ნელი მოქმედების ნაღმია, რომელიც მოსახლეობას საკუთარ მიწაზე წვდომის საშუალებას მოუსპობს:

**„ეს ისევე აშკარაა, როგორც აშკარაა კოლოსალური დისბალანსი აფხაზეთში კომფორტულ საცხოვრებელ ზონასა და რუსული კაპიტალის საინვესტიციო შესაძლებლობებს შორის. აფხაზეთში მიწა უკიდურესად ცოტაა, ჩინოვნიკების სიხარბე უსაზღვროა, რუსული ბიზნესის საფულე კი ძალიან მძიმეა. გასაგებია რუსული კაპიტალის ინტერესები, მაგრამ გაუგებარია აფხაზი და რუსი პოლიტიკოსების ახლომხედველობა. მიწა იმაზე უფრო სწრაფად გაიყიდება, ვიდრე გაფორმდება ხელშეკრულებები ქაღალდზე. მაგრამ ეს მიწა არ ეკუთვნის იმ ხალხს, ვინც დღეს აფხაზეთის ხელისუფლებაშია“.**

იხ. 10 გვ.

# გმირთა „პარადი“

წინ, საქართველოვ!



ბრძოლას უსისხლოდაც იგებენ. დიახ, ჯერ მხოლოდ ბრძოლას, მაგრამ მთავარსარდალმა **რამაზ სვანაძემ** ისეთი სტრატეგიულ-ტაქტიკური ნიჭი გამოავლინა, რომ უკვე მთლიანად ომის ძლევამოსილად დასრულების რწმენაც გაგვიჩინა. მოკლედ, ისტორიული პერსონაჟები მშვიდობიანობის ჟამსაც იბადებიან.

### საქართველო – პორტუგალია 2:0

(პირველი ტაიმი 2:0).

*გოლები:* გაგუა (37-ე წთ), საზონოვი (45-ე წთ).

ორივე ასისტის ავტორია *წიტაიშვილი.*

**საქართველო:** კუტალაძე, ხვადაგიანი, საზონოვი, გელაშვილი, კალანდაძე, წიტაიშვილი (აზაროვი), გულიაშვილი (გოჩოლეიშვილი), მექვაბიშვილი (ლომინაძე), გაგნიძე, მოისწრაფიშვილი (დავითაშვილი), გაგუა (სიგუა).

მთავარი მწვრთნელი – **რამაზ სვანაძე.**

21-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ზღაპრულ სტარტზე საუბარი შემთხვევით არ დაგვიწყია ფრონტული ტერმინებით – როგორც ყველა ბრძოლას, მასაც ჰყავდა გმირები და ანტიგმირები. გმირები არიან, აბა რა, ისინი, ვინც თამაშის დღეს ჩამოფრინდნენ შოტლანდიაში გადახდილი საზედისწერო საწყლოსნო თავგადასავლიდან და ნაადრევად დაკაცებულ ახალგაზრდა პარტნიორებს შეუერთდნენ მრისხანე მეტოქის საბოლოოდ მოსაშთობად.

მეტოქე რომ მართლაც შიშის ზარს სცემს თითქმის ყველას და ქართულ-რუმინული ფორუმის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად ითვლება, სტატისტიკაც მოწმობს – მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა და კონტინენტური ბატალიების სამგზის ფინალისტმა ბოლო 40 მატჩიდან 36(!) მოიგო და მხოლოდ 1 წააგო, უკანასკნელ 15 შეხვედრაში კი საერთოდ დაუმარცხებელი იყო (2 ფრე).

არანაკლებ შთამბეჭდავია მათი თავკაცის – **რუი ჟორჟეს** სადარბაზო ბარათიც. პორტუგალიის ეროვნული ნაკრების (47 მატჩი), აგრეთვე იქაური გრანდების – სპორტინგისა და პორტუს ყოფილი ღირსეული წევრი ქვეყნის ასაკობრივ გუნდებს უკვე 13(!) სეზონია მოძღვრავს და გამარჯვებულის მენტალიტეტიც ჩამოუყალიბა. სხვათა შორის, პირენეელებთან შარშან ამხანაგური მატჩი 1:4 წავაგეთ.

სტუმართა და მათი მესაჭის საამაყო აწმყოზე კიდევ ბევრის თქმა შეგვიძლია, მაგრამ, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია საიმისოდ, რომ ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას, როგორი კალიბრის იარაღი დავადუღეთ რატომღაც მხოლოდ სანახევროდ შევსებულ დინამო არენაზე. და ეს მაშინ, როცა ბიჭები სულ რამდენიმე დღის წინათ **კვარაცხელიასა** და **მიქაუტაძის** გარეშე დარჩნენ, რამაც, სავარაუდოდ, მეორეს მხრივ, ისინი კიდევ უფრო შეკრა და არასრულფასოვნების კომპლექსი დააძლევინა, რასაც ტრავმამოშუშებული კაპიტნის მექვაბიშვილის დაბრუნებამაც შეუწყო ხელი.

იმავე დღეს **„ა“ ჯგუფში** ერთმანეთს ქულები დააკარგვინეს ნიდერლანდებმა და ბელგიამ, რამაც ჩვენი საპლეიოფო შანსები კიდევ უფრო გაზარდა. **„ბ“ ჯგუფი.** უკრაინა – ხორვატეთი 2:0, რუმინეთი – ესპანეთი 0:3. **„გ“ ჯგუფი.** ინგლისი – ჩეხეთი 2:0, გერმანია – ისრაელი 1:1. ევროპის მოქმედმა ჩემპიონებმა ერთბაშად 2 პენალტი ვერ გამოიყენეს – ორივე დარტყმა ებრაელთა მეკარემ **პერეტცმა** მოიგერია, თანაც ისრაელის ნაკრებს შესვენების წინ მოთამაშე გაუძევეს. **„დ“ ჯგუფი.** შვეიცარია – ნორვეგია 2:1, საფრანგეთი – იტალია 2:1. ესეც პირველი სამსაჯო სკანდალი – გადამწყვეტ გოლს იტალიელთა კარში მინდვრის ცენტრში წესების აშკარა დარღვევა უძღოდა წინ, რომელიც შეუფასებელი დარჩა, ხოლო ბოლო წუთზე ბურთმა თვალნათლივ გადაკვეთა ფრანგთა კარის ხაზი და იგი მცველმა ხელით გამოიტანა. შედეგი ნული: არც გოლი, არც პენალტი და წითელი ბარათი.

მეორე ტურში დინამო არენაზე მაყურებელთა დასწრების რეკორდი დამყარდა – ბელგიასთან მასპინძელთა მატჩს 41 000 გულშემატკივარი დაესწრო (ძველი მიღწევის ავტორია ესპანეთი – 35 000 ქომაგი).

დაუწერელი კანონია, რომ მოგებულ შემადგენლობას არ ცვლიან, მაგრამ ამჯერად ორივე გუნდის მესაჭემ სასტარტო შეხვედრებისგან განსხვავებით 4-4 კორექტივი შეიტანა განლაგებაში, რამაც მხოლოდ სტუმრებს არგო. ჯვაროსნებს განსაკუთრებით **წიტაიშვილის** არყოფნა დაეტყოთ, რომელმაც პორტუგალიასთან შედეგიანი გადაცემის დუბლი შეასრულა. ზოგადად, მადლობელნი უნდა ვიყოთ, რომ მხოლოდ 0:2 დავთმეთ პირველი ტაიმი, რადგან ერთ ეპიზოდში ხორვატმა მსაჯმა დაგვინდო საჯარიმოში უხეშობისას, რამდენჯერმე კი **მამარდაშვილმა** გვიხსნა.

შესვენების შემდეგ მალევე ბრძოლაში ჩაბმული წიტაიშვილის შორეული გასროლით სხვაობა შევამცირეთ და თამაშის ხასიათში გარდატეხაც დაიწყო, ხოლო ყველაფერი გოჩოლეიშვილ-აზაროვის კომბინაციითა და **გულიაშვილის** მაშველი თაურით 87-ე წუთზე დაგვირგვინდა – 2:2.

### პორტუგალია – ნიდერლანდები 1:1.

**სატურნირო მდგომარეობა ბოლო ტურის წინ:** საქართველო – 4, ბელგია, ნიდერლანდები – 2-2, პორტუგალია – 1 ქულა.

**ხვალ 20 საათზე ითამაშებენ:** საქართველო – ნიდერლანდები, ბელგია – პორტუგალია. თავადაც მიხვდებოდით, რომ 1 ქულა ჩვენთვის პლეიოფში გასვლის ტოლფასია.

**„ბ“ ჯგუფი.** რუმინეთი – უკრაინა 0:1, ესპანეთი – ხორვატეთი 1:0. ასე რომ, გამარჯვებულნი ვადამდე გავიდნენ მეოთხედფინალში.

რაგბი ჩვენი თამაშია



# აფრიკულ გამოცდაზე

**კოვიდ-პანდემიით გამოწვეული 3-წლიანი იძულებითი პაუზის შემდეგ გუშინ სამხრეთ აფრიკაში დაიწყო 20-წლამდე ასაკის მორაგბეთა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომლის „ბ“ ჯგუფშიც უმცროსი ბორჯღალოსნები მასპინძლებთან, არგენტინელებთან და იტალიელებთან ერთად თამაშობენ. სადებიუტო მატჩი ორგანიზატორ ქვეყანასთან ქალაქ სტელენბოშში გავმართეთ.**

ჩვენი გუნდის თავკაცმა **ლადო კილასონიამ** ფორუმის სტარტამდე განაცხადა: **„შავ კონტინენტზე 14 ივნისს ჩამოვფრინდით. სკოლაში, სადაც დავბინავდით, საუკეთესო პირობებია. უკვე შემოგვიერთდნენ სტად ფრანსეს ბურჯი სერგო აბრამიშვილი, რომელსაც კლუბთან ვალდებულებები ჰქონდა, და შერკინების მწვრთნელი თორნიკე ბუბუტეიშვილი, რომელიც სავიზო პრობლემების გამო აეროპორტიდან თბილისში გააბრუნეს. აქამდე ის დისტანციურად გვიერთდებოდა და ბიჭები თვითონ უძღვებოდნენ შერკინების ვარჯიშებს. ჩვენი პირველი მეტოქე სამხრეთ აფრიკა ალბათ ფიზიკურად ტურნირის ყველაზე მძლავრი გუნდია. შერკინება და მოლი მისი თამაშის მთავარი კოზირია და უპირველესად მათ განეიტრალებაზე უნდა ვიზრუნოთ.**

**აღსანიშნავია, რომ უკვე გვქონდა ინტენსიური ერთობლივი ვარჯიში ავსტრალიის ნაკრების მხარდამხარ. მნიშვნელოვანია, რომ შესაძლებლობა მოგვეცა ასეთ ღირსეულ მოწინააღმდეგესთან კიდევ ერთხელ გაგვევლო დეტალები და გვენახა, სად გვაქვს პრობლემები“...**

მართალი აღმოჩნდა უმცროს ბორჯღალოსანთა თავკაცი – ბიჭებმა ბრწყინვალედ შეისწავლეს მრისხანე მეტოქე და ცოტა დააკლდათ ხმაურიან სენსაციამდე.

### სამხრეთ აფრიკა - საქართველო 33:23.

პირველი ტაიმი 20:7

**ლელო:** ციხისთავი, ცირეკიძე, ბაბუნაშვილი. **1 გარდასახვა და 2 საჯარიმო: ხუციშვილი.**

ჩაგდებული პირველი ნახევრის შემდეგ სტუმრებმა გათიშეს ფავორიტი, სხვაობა მინიმუმამდეც კი შეამცირეს – 18:20 და მეორე ტაიმი მოუგეს კიდეც! სამწუხაროა, რომ საბედისწერო ქულები მასპინძლებმა რიცხობრივ უმცირესობაში მოაგროვეს. მაინც ყოჩაღ!

### არგენტინა - იტალია 43:15.

კაპიტანი

# ძვირფასი ვერცხლი

**როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების 31 წლის კაპიტნის თორნიკე შენგელიას ჯილდოების მდიდარ კოლექციას ევროპის უძლიერესი საკლუბო – ესპანეთის ლიგა ენდესას ოქრო ამშვენებს, რომელიც 6-წლიანი ბასკური კარიერის მიწურულს ბასკონიას შემადგენლობაში მოიხვეჭა. ბუნებრივია, ისტორიული მუნდიალის წინ, სადაც ჯვაროსნებს დებიუტი ექნებათ, ჩვენი გუნდის ლიდერს იტალიური სკუდეტოს მოსაპოვებლადაც ვქომაგობდით მილანთან უმძაფრეს ფინალურ სერიაში, მაგრამ მიზნამდე 1 ნაბიჯი დააკლდა.**

შვიდმატჩიანი დრამატული ბრძოლის ბედი საკუთარი დარბაზის უპირატესობამ გადაწყვიტა, რომელიც ოლიმპიას რეგულარულ სეზონში დაკავებული პირველი ადგილით ჰქონდა. მართლაც, მეტოქეებმა ერთმანეთს ჩხვლეტები მხოლოდ საშინაო შეხვედრებში მიაყენეს, რაც ლომბარდიელებს აწყობდათ – ისინი ხომ სატიტულო მეშვიდე დუელში მასპინძლები იყვნენ და ბოძებული შანსი დიდებულად გამოიყენეს – 67:55 (4:3). აღსანიშნავია, რომ მომავალმა ტრიუმფატორებმა 12-ქულიან ჰანდიკაპს პირველივე პერიოდში უწიეს – 21:9 და ეს სხვაობა ბოლომდე შეინარჩუნეს.



რაც შეეხება ჩვენს თანამემულეს, იგი პარტნიორთაგან პარკეტზე საუკეთესო იყო – 32 წუთში 13 ქულა, 4 მოხსნა და 3 პასი, მაგრამ მხარი ღირსეულად ვერავინ აუბა – თეოდოშიჩი – 10, ჰეკეტი – 7 ქულა, უბერებელმა სნაიპერმა ბელინელიმ კი 20 წუთში ბურთი ვერ ჩააგდო. სამაგიეროდ, მილანელმა დატომემ გაიხსენა ახალგაზრდობა – 15 ქულა.

# ზაზა დარასელის სახელი ფეხბურთით ცოცხლობს!

**ნაადრევად წავიდა ამქვეყნიდან. არადა, 20 ივნისს 73 წელი შეუსრულდებოდა.**

მართალია, ქართველმა ჟურნალისტმა, მწერალმა და სპორტის დიდმა გულშემატკივარმა **ზაზა დარასელმა** მხოლოდ 51 წელიწადი იცოცხლა, მაგრამ სახელოვნად განვლილი ნახევარი საუკუნის განმავლობაში დღემუდამ სიკეთის მთესველმა ღირსეული მამულიშვილის, დიდი პიროვნების სახელი დატოვა.

1972 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტში მუშაობდა ჯერ რადიოს სამეცნიერო გადაცემების რედაქტორად,



შემდგომ – ლიტერატურისა და ხელოვნების რედაქციის ახალგაზრდული პროგრამების მთავარ რედაქტორად. 1985 წელს დაინიშნა საქტელერადიომაუწყებლობის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ (გარკვეული პერიოდის განმავლობაში თავმჯდომარის მოვალეობასაც ასრულებდა).

1992 წლიდან იგი ტელეკომპანია „მეორე არხის" გენერალური დირექტორი იყო. სწორედ, ამ არხთან ერთად სატელევიზიო ფესტივალ „მანას" მთავარი პრიზი მოიპოვა. წერდა მოთხრობებსა და ნოველებს, თარგმნიდა გაბრიელ გარსია მარკესის ნაწარმოებებს.

ზაზა დარასელი 2001 წლის 1 ივლისს გარდაიცვალა. იმავე წელს მეგობრისა და კოლეგის – ვახტანგ-გოჩა ხუნდაძისა და სერგო კიკალეიშვილის ინიციატივით ჩაეყარა საფუძველი მისი ხსოვნის ტურნირს მინიფეხბურთში.

წლეულს ზაზას თასი 23-ედ გათამაშდა. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ტელეკომპანიების – „პირველი არხის", „პოსტივის", „ერიმედიის", „ბი ემ ჯის", „კრისტალსპორტისა" და „ფორმულას" წარმომადგენლები, ასევე, ტურნირის ტრადიციული მონაწილეები – „ტოიოტა კავკასია" და „აფხაზეთი". ჯგუფური ეტაპის მერე ნახევარფინალში პოსტივის გუნდისა და „ტოიოტას" შეხვედრა ფრედ – 1:1 დასრულდა. პენალტების სერიაში პოსტივიმ 5:4 გაიმარჯვა და ფინალში გავიდა, სადაც მისი მეტოქე იყო I არხის გუნდის მძლეველი (2:0) „აფხაზეთი".

ფინალური შეხვედრა ზაზას დაბადების დღეს – 20 ივნისს მუშტაიდის ბაღის სტადიონ „იმედზე" გაიმართა. თანაბარ ბრძოლაში გალეული პირველი ტაიმის (1:1) შემდეგ „აფხაზეთის" ფეხბურთელებმა (გიორგი ფიფია (კ), ზაზა ფიფია, ლაშა კაკუბავა, ალექსანდრე მერზლიაკოვი, გიორგი ბიბილაშვილი, ნოდარ ქურცაძე) უკეთ ითამაშეს, მატჩი 4:1 მოიგეს და მთავარ პრიზთან ერთად კორექტული თამაშისთვის დაწესებული თასიც დაიმსახურეს.





ტურნირის ბოლოს ნომინაციებში საუკეთესოდ ცნეს: მეკარე – დავით ჯინჭარაძე („პოსტივი"), მცველი – ნოდარ ასათიანი („ტოიოტა"), თავდამსხმელი – ნოდარ ქურცაძე („აფხაზეთი"), შეჯიბრების საუკეთესო ფეხბურთელი გახდა „პოსტივის" კაპიტანი, ზაზას თასის ყველა გათამაშების მონაწილე დავით (კულა) სიხარულიძე.

საპრიზო ადგილებზე გასულ გუნდებს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის, შპს „ტოიოტა-კავკასიისა" და საქართველოს პარლამენტის წევრ ფრიდონ ინჯიას მიერ დაწესებული ფულადი პრიზებიც გადაეცათ. ფინალის მონაწილეები, ასევე, მეღვინეობა „მტევინოს" მიერ წარმოებული ხაშმური საფერავითა და სააქციო საზოგადოება „ბაგრატიონი 1882-ის" ცქრიალა ღვინოებით დასაჩუქრდნენ.

**ვახტანგ-გოჩა ხუნდაძე:** „ბედნიერი ვარ, რომ ზაზა დარასელის ხსოვნის კიდევ ერთი ლამაზი დღე ასე შინაარსიანად და სიმბოლურად დაგვირგვინდა. გამარჯვებულებსა და პრიზიორებს ვულოცავ წარმატებას.

შეჯიბრების ჩატარებაში გაწეული დახმარებისთვის მადლობა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურ დირექტორს თინათინ ბერძენიშვილს, შპს „ტოიოტა-კავკასიის" გენერალურ დირექტორს კოჯი მათსუნოს, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის კანცლერს ვახტანგ წივწივაძეს, ბატონებს – ფრიდონ ინჯიას, მალხაზ ზაუტაშვილსა და გიორგი დურგლიშვილს. უმათოდ ხსოვნის ტურნირის ჩატარების ტრადიციის გაგრძელება გაგვიჭირდებოდა.

მადლობა, ასევე, ყველას, ვინც ამ ასპარეზობით გაიხარა და გაიხსენა ზაზა დარასელი – ღირსეული მეგობარი და კოლეგა. დარწმუნებული ვარ, კეთილი ადამიანების თანადგომით ზაზას მემორიალი მომავალშიც მაღალ დონეზე გაიმართება".

**ნინო დარასელი,** ზაზას ქალიშვილი: „დიდი მადლობა ყველას, ვინც მამაჩემის სახელის უკვდავსაყოფად ასეთ ლამაზ შეჯიბრებას ჩაუყარა საფუძველი. ბედნიერი ვარ, რადგან საუკეთესო ღონისძიებაა მეგობრობისა და ურთიერთპატივისცემის გასამტკიცებლად. პრიზიორებს ვულოცავ გამარჯვებას და მომავალშიც წარმატებებს ვუსურვებ".

**გიორგი ფიფია,** „აფხაზეთის" კაპიტანი: „უპირველესად, უღრმესი მადლობა შეჯიბრების ორგანიზატორებსა და მონაწილეებს, ოჯახის წევრებს, რომლებმაც ზაზას თასის გათამაშებით ასეთი ლამაზი დღეები გვაჩუქეს. ეს არის მეგობრობის ტურნირი. პირადად მეოცედ ვმონაწილეობ მასში. ჩვენმა გუნდმა მთავარი პრიზი მესამედ მოიპოვა. ჩემი ოცნებაა, ახლო მომავალში ეს ტურნირი აფხაზეთში ჩავატაროთ, რადგან, როგორც ვიცი, ზაზას აფხაზეთი ძალიან უყვარდა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვისაც იბრძოდა".

**ვაჟა დანელია**

⊙ თაობა

# ფრენა-ფრენით – ფინალში!

**თვე არ გავა, სპორტის სათამაშო სახეობათა წარმომადგენლებმა არ გაგვახარონ, რაც ინდივიდუალისტთა ტრადიციადქცეულ მიღწევათა ფონზე განსაკუთრებით აღსანიშნავ ფაქტად გვესახება.**

გვაქვს პატივი, ამჯერად 17-წლამდელ გოგონათა ნაკრების სენსაციურ წარმატებაზე გაუწყოთ, რომელმაც ევროპის ფრენბურთელთა ჩემპიონატის მე-2 საკვალიფიკაციო ეტაპზე ისრაელისა და ავსტრიის გუნდებს სძლია, რუმინელ თანატოლებთან კი დამარცხდა, მაგრამ პროგრამა-მინიმუმი მაინც შეასრულა – 11-22 ივლისს სერბეთსა და უნგრეთში ისტორიაში პირველად ითამაშებს კონტინენტური ფორუმის ფინალურ რაუნდში.

**ვულოცავთ!**



⊙ ევროპული თამაშები





# ღირსეული სტარტი

**ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებით ჩაებნენ პოლონეთის ქალაქ კრაკოვში დაწყებულ მესამე ევროპულ თამაშებში საქართველოს 10-კაციანი დელეგაციის წევრები.**

თანაგუნდელებს სტიმული ნიჩბოსნებმა მისცეს, რომლებიც ფინალურ ბლოკში ერთბაშად 3 ფავორიტით იყვნენ წარმოდგენილნი და მათგან გამოკვეთილმა მცხეთელმა ლიდერმა, ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **ზაზა ნადირაძემ** საპატიო კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე ააბიჯა.

კიდევ ერთი ჯილდო კარატეში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სპორტსმენთა კავშირის თავკაცმა **გოგიტა არქანიამ** დაიმსახურა. 37 წლის ვეტერანმა გაცილების ცერემონიალზე, როგორც იცით, საზეიმო ფიცი დადო, კრაკოვში კი მესამე პრიზიორი გახდა კუმიტეში.

# „ვაგნერელთა“ ოდისეა დასრულდა



(მეექვსე გვერდიდან)

**მოსკოვისა და ტულის ოლქებში, „დონის“ ავტომაგისტრალზე მოძრაობაზე შეზღუდვები შენარჩუნებულია,** – ამის შესახებ ინფორმაციას რუსული სააგენტო „ტასი“ ავრცელებს. ამასთან, საგზაო შეზღუდვები სრულად არის მოხსნილი როსტოვსა და ლიპეცკში. რუსეთში როსტოვსა და მოსკოვის დამაკავშირებელ „დონის“ მაგისტრალზე გადაადგილება შეიზღუდა კერძო სამხედრო კომპანია „ვაგნერის“ მებრძოლების დედაქალაქისკენ მსვლელობის გამო. „დონის“ მაგისტრალზე მოეწყო ბლოკპოსტები.

* * *

**რუსული კერძო სამხედრო კომპანია „ვაგნერის“ დამფუძნებლის, ევგენი პრიგოჟინის წინააღმდეგ რუსეთში აღძრული სისხლის სამართლის საქმე შეწყდება, –** ამის შესახებ კრემლის პრესმდივანმა, დიმიტრი პესკოვმა განაცხადა, რომელმაც ევგენი პრიგოჟინსა და ბელარუსის პრეზიდენტ ალექსანდრ ლუკაშენკოს შორის გამართული მოლაპარაკებების დეტალებზე რუსულ მედიასთან ისაუბრა. პესკოვის თქმით, თავად პრიგოჟინი ბელარუსში გადავა.

ამასთან, კრემლის პრესმდივანმა აღნიშნა, რომ არ დაიწყება ამბოხში მონაწილე „ვაგნერის“ მებრძოლების სისხლის სამართლებრივი დევნა, „მათი საბრძოლო დამსახურებების გათვალისწინებით“. მებრძოლების ნაწილი, რომლებიც არ მონაწილეობდნენ ამბოხში, თავდაცვის სამინისტროსთან კონტრაქტებს მოაწერენ ხელს.

პესკოვის თქმით, ლუკაშენკო თავად გამოვიდა შუამავლობის ინიციატივით, რადგან პრიგოჟინს 20 წელზე მეტია, იცნობს.

სამხედრო ამბოხებისკენ მოწოდების ბრალდებით, რუსეთის უსაფრთხოების სამსახურმა ევგენი პრიგოჟინის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე გუშინწინ აღძრა.

* * *

**„ბელარუსის პრეზიდენტმა რუსეთის პრეზიდენტს დეტალურად მიაწოდა ინფორმაცია კერძო სამხედრო კომპანია „ვაგნერის“ ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებების შედეგების შესახებ. რუსეთის პრეზიდენტმა მხარი დაუჭირა და მადლობა გადაუხადა ბელარუს კოლეგას შესრულებული სამუშაოსთვის“,** – ნათქვამია ბელარუსის პრეზიდენტის პრესსამსახურის განცხადებაში.

მანამდე, ბელარუსის პრეზიდენტის, ალექსანდრ ლუკაშენკოს პრესსამსახურმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ „ვაგნერის“ ხელმძღვანელმა, ევგენი პრიგოჟინმა მიიღო ალექსანდრ ლუკაშენკოს შეთავაზება რუსეთის ტერიტორიაზე „ვაგნერის“ მებრძოლების გადაადგილების შეჩერებისა და დეესკალაციის შესახებ. აღსანიშნავია, რომ თავად ევგენი პრიგოჟინს გავრცელებულ აუდიომიმართვაში ლუკაშენკოსთან მოლაპარაკებები არ უხსენებია.





# ტანძია ღირსეულ პატივს მიაგებს დიდ მამულიშვილს

**წელს დიდი ქართველი მწერლის, დიპლომატის, პოლიტიკური მოღვაწის სულხან-საბა ორბელიანის დაბადებიდან 365 წელი სრულდება. ამ თარიღთან დაკავშირებით, სოფელ ტანძიაში, სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მუზეუმის ეზოში, სახალხო დღესასწაული „საბაობა 2023“ მოეწყო.**

ბოლნისის მერიის ცნობით, ღონისძიების ფარგლებში, ლიტერატურული მუზეუმის ეზოში მდებარე ეკლესიაში ბოლნისელმა მთავარეპისკოპოსმა ეფრემმა, სულხან-საბა ორბელიანის სულის მოსახსენებელი პანაშვიდი აღავლინა. სახალხო დღესასწაულის სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ ბოლნისის კულტურის სახლთან არსებული შემოქმედებითი ჯგუფების კონცერტს დასწრებოდნენ. აღსანიშნავია, რომ ღონისძიებაზე სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკებზე შექმნილი ანიმაციური ფილმის პრემიერაც შედგა.

**„საბაობა 2023“-ის ფარგლებში, ასევე მოეწყო ადგილობრივი ხელოვანების ნამუშევრების გამოფენა, ეროვნული სამოსის გამოფენა-პერფორმანსი, სახალხო დღესასწაული კი ჯგუფი „შერეკილების“ კონცერტით დასრულდა.**

ღონისძიებას ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი დავით შერაზადიშვილი, ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე თამაზ ჟორჟოლიანი, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ბუბა გობეჯიშვილი და დმანისის მუნიციპალიტეტის მერი კობა მურადაშვილი ესწრებოდნენ.

**„სულხან-საბა ორბელიანია ადამიანი, რომელმაც, ფაქტობრივად, განსაზღვრა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და იდეოლოგიური რაკურსი. ჯერ კიდევ სამი საუკუნის წინ, საბა იყო სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც შეეცადა ევროპაში ჩვენი ისტორიული და კულტურული ადგილი დაგვებრუნებინა. დღეს ჩვენ ერთგვარად საბას გზას გავდივართ და თანდათან ვიმკვიდრებთ ადგილს იმ სივრცეში, რომელიც ქართული იდენტობის განუყოფელი ნაწილია. ახლა, როცა ასე ახლოს ვართ ევროპასთან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება სულხან-საბა ორბელიანი, როგორც საზოგადო მოღვაწე და შემოქმედი. გილოცავთ „საბაობას!“ ვისურვებდი არასდროს დაგვევიწყებინოს საბას იდეალები და თითოეულ ჩვენგანს მასავით გვეზრუნოს ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის“,** – განაცხადა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა.

# სოხუმში აპარტამენტების კანონის და ახალი კოლონიზაციის ეშინიათ

(მეშვიდე გვერდიდან)

თენგიზ ჯოპუას თქმით, აფხაზებს მიწის გარდა სხვა არაფერი გააჩნიათ, თუმცა ამის აღქმა დაბლაგვებულია დღეს არსებული უიმედობისა და დაღლილობის გამო, მაგრამ ხვალ, როცა ამ ხალხისა და მათი შვილების თვალწინ მრავალმეტრიანი ღობეები ამოიზრდება, ისინი დაიწყებენ დამნაშავეების ძებნას.

**„დაიწყებენ და მალევე იპოვიან იმათ, ვინც ამ კანონს მისცა ხმა, ვინც მას იცავდა, გამოაცხადებენ მათ ერის ინტერესების მოღალატეებად, ხოლო ურთიერთობები რუს და აფხაზ ხალხებს შორის ისეთი სისწრაფით დაიწყებს გაცივებას, რომ არანაირი შეთანხმება და ფინანსური ინექციები არ უშველის“, – ამბობს თენგიზ ჯოპუა.**

### საეჭვო ეკონომიკური ეფექტი

აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის ეკონომიკის ყოფილი მინისტრის, **ახრა არისტავას** თქმით, აპარტამენტების შესახებ კანონის მიღებით გამოწვეული ეკონომიკური ეფექტი უმნიშვნელო იქნება იმ ზიანთან შედარებით, რომელიც მიადგება აფხაზეთის ეროვნულ ინტერესებს:

**„არც ერთი მთავრობა არც ერთ ქვეყანაში არ დაუშვებს თავისი მოსახლეობის ოდენობის უცხოელს მიჰყიდოს საცხოვრებელი სახლები. ეს უბრალოდ წარმოუდგენელია. თურქები 80 მილიონ უცხოელს არ მიჰყიდიან საცხოვრებელს, თუნდაც ეს უცხოელები აზერბაიჯანიდან იყვნენ. ქართველები არ მიჰყიდიან სახლებს და არ შეუშვებენ საქართველოში 3 მილიონ უცხოელს, ესპანელები არ მიჰყიდიან 45 მლნ აპარტამენტს თუნდაც ევროკავშირში შემავალი ქვეყნების მოქალაქეებს. არ გაყიდიან, რადგან ეს გამოიწვევს სახელმწიფო კონტროლის სრულ დაკარგვას მიგრაციულ და ეროვნულ პოლიტიკაზე“.**

ახრა არისტავას თქმით, ასევე ვერ უძლებს კრიტიკას კანონპროექტის ავტორთა ეკონომიკური არგუმენტები:

**„ბიზნესით დაკავებულმა თითოეულმა ჩვენმა მოქალაქემ იცის, რომ იურიდიული პირი იხდის 10-15-ჯერ მეტ გადასახადს, ვიდრე კერძო პირი. ანუ სასტუმროები ჩვენს ხალხს უფრო მეტ შემოსავალს მოუტანს, ვიდრე აპარტამენტები, რომელთა მფლობელები, კანონპროექტის მიხედვით, კერძო პირებად დარეგისტრირდებიან. თუ თვითონ იცხოვრებენ, კაპიკებს გადაიხდიან, თუ გააქირავებენ - მაქსიმუმ ფიქსირებული საპატენტო გადასახადის რეჟიმით დაიბეგრებიან. ვისაც აინტერესებს, შეადაროს, რამდენს იხდიან სასტუმროები და ყველაფერს მიხვდება. ჩვენ ცოტა მიწა გვაქვს და საჭიროა ამ რესურსის ეფექტიანი განკარგვა“.**

ახრა არისტავას თქმით, არ არის საჭირო 30 ათასი აპარტამენტის გაყიდვა, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ეკონომიკური რეფორმების გატარებას და არა მარტივი, პრიმიტიული გამოსავლის მოძებნას, რომელიც, მისი თქმით, სახიფათოა მრავალნატანჯი აფხაზი ხალხისთვის.

**„30 000 აპარტამენტის გაყიდვა და 90 000-ზე მეტი უცხოელისთვის საცხოვრებლის მიცემა იმას ნიშნავს, რომ აფხაზეთი აღარ იქნება“,** – ამბობს აფხაზი ეკონომისტი.

**ჯიმშერ რეხვიაშვილი,**
მწერალი, ჟურნალისტი, ბლოგერი.

# მინისტრის მოსაზრებები და კინოცენტრის მომავალი

**საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა, თეა წულუკიანმა სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის დირექტორთან, სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის დროებით შემსრულებელ კოკა ხუბუნაიასთან ერთად კინოს სფეროს წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გამართა.**



მინისტრის ინიცირებულ სამუშაო შეხვედრას ესწრებოდნენ დარგის სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები, მათ შორის – ეროვნული კინოცენტრის თანამშრომელთა ნაწილიც. შეხვედრაზე კინოცენტრში განსახორციელებელი რეფორმისა და კინოხელოვნების ხელშესაწყობად აუცილებელი მექანიზმების დანერგვის შესახებ იმსჯელეს.

მინისტრმა კინოცენტრის ფინანსური მართვის სისტემაში ხარვეზების აღმოფხვრა-გამოსწორებასა და სისტემური ცვლილებების აუცილებლობაზე ისაუბრა და მოწვეულ სტუმრებს ამ საკითხებზე საკუთარი მოსაზრებები გააცნო. თეა წულუკიანმა დარგის სპეციალისტებს შესთავაზა სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც რამდენიმე მიმართულებით იმუშავებს, მათ შორის – მიზნობრივი კონკურსების გამართული და სამართლიანი მოდელის დანერგვასა და საკანონმდებლო საკითხებზე. კინოსთან დაკავშირებული კონსტრუქციული დიალოგისათვის სამინისტრო დაინტერესებულ პირებსა და პირთა ჯგუფებთან სამუშაო შეხვედრებს მომავალშიც გამართავს.

# ქართველ იუნკერთა ხსოვნას

**თბილისში ამერიკული სკოლა „პროგრესის“ ორგანიზებით ჩატარებული ესეების კონკურსის „ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული მომავალი“ გამარჯვებულების დაჯილდოების ცერემონია გაიმართა.**

კონკურსის ფარგლებში მოსწავლეებმა შექმნეს ესეები: ადამიანის უფლებების, თავისუფლების, ენობრივი მრავალფეროვნების პატივისცემის, საქართველოსა და ევროპულ სახელმწიფოებს შორის კავშირის და ერთიანობის იდეის შესახებ.

**ესეების კონკურსი 23 თებერვალს დაღუპულ ქართველ იუნკერთა ხსოვნას მიეძღვნა.**





◎ წერილი რედაქციას

# „ზაჰესის“ ამუშავებიდან 96 წელიწადი გავიდა!

**ძვირფასო რედაქცია, წერილობით მოგახსენებთ „ზაჰესის ნაცნობ და... „უცნობ“ ისტორიას.**

ხშირად ზაჰესის იუბილე ისე არ ჩაივლის, რაიმე ხიფათის, ან მოულოდნელი მდგომარეობის წინაშე არ აღმოვჩნდეთ. ეს ჰესის დირექციის და ენერგეტიკის სამინისტროს საყურადღებო-პრობლემაა!

მოგეხსენებათ, 2022 წელს ასეთმა „ხიფათმა“ ხმაურიანად ჩაიარა. ჰესზე ექვსი დანადგარი დაიწვა. შარშან, 26 ივლისს ჰესს რომ 95 წელი შეუსრულდა, ხმა არავის ამოუღია, მივმართე მასმედიას, გაიხსენეთ-მეთქი „ზაჰესის“ ისტორია. სამწუხაროდ, დღემდე სრული სიჩუმეა, ისე არ მოხდეს, ხმას რომ ამოიღებთ, მერე ძალიან გვიან იყოს! არ დაგავიწყდეთ, დღეს როგორც ვართ, ეს „ზაჰესის“ დამსახურებაცაა!

ზაჰესი 96 წლისაა. ყურადღებას ითხოვს თუ არა? ნამდვილად ითხოვს, არადა, ვიხილავთ თბილისში 2015 წლის 13 ივნისის მსგავს წყალდიდობას!

მსოფლიოში კაშხლებზე წყლის დამორჩილება ფარების საშუალებით ხდება. ფარის ასაწევად დენია საჭირო. ფარი თავისი წონით იკეტება. თუ ფარის წონა საკმარისი არ არის, მას ამძიმებენ ბეტონით. ზაჰესის კაშხალზე ფარები დამძიმებულია ბეტონით. 1987 წელს ზაჰესზე კატასტროფა მოხდა. ჰესის 3 კმ. სიგრძის არხის 40 მეტრიანი მონაკვეთი, რომელიც ნაყარ მიწაზე ხევის თავზე გადის, საყრდენი გრუნტი უმალვე ჩამოიშალა. არხის სიგანე 10 მეტრია, წყლის სიმაღლეც არხში 10 მეტრია, ამიტომაც მალევე გადმოიღვარა 4 ათასი $м^3$ წყალი ზაფხულის დამშრალ კალაპოტში, რომელიც თბილისისკენ გაქანდა. მოგეხსენებათ, სანაპირო თბილისში 2 ათას $м^3$ წყალზე მეტს ვერ ატარებს. კონკრეტულად რა მოხდა თბილისში და მის ქვემოთ მდინარის გაყოლებაზე, ჩემთვის დღესაც უცნობია. „მცირე“ წყალმოვარდნა მთავრობამ მიაჩუმათა... არხის სათავეში ფარების (4 ცალია) დანიშნულება არხში წყლის გადაკეტვაა კატასტროფის დროს, რაც 1987 წ. მოხდა.

იმ ღამეს, გამთენიისას მდინარეზე ვთევზაობდი. მოვარდა მინიმუმ 5 მ სიმაღლის ტალღა. სასწრაფოდ კაშხალზე მივედი არხის ფარების ჩასაკეტად. ფარები შეეხო თუ არა წყალს, გაჩერდნენ. მსუბუქი აღმოჩნდა. ეს ფარები 60 წელიწადია ხმარებაშია. მას დღესაც ყურადღებას არავინ აქცევს. ფარები, კაშხლის ფარების მსგავსად ბეტონით დამძიმებული არ არის.

60 წელიწადია ამას ყურადღებას არავინ აქცევს! ვიმეორებ, ჯეროვნად დამძიმებული ფარი წყალს კეტავს თავისი წონით, ანუ დაწოლით. ჩემს შემთხვევაში, ფარები შეეხო თუ არა წყალს, გაჩერდა. ფარები ჯაჭვების საშუალებით მოძრაობენ, ჩავიფიქრე, რომ ჯაჭვები ბოლომდე დამეშვა. ეგების მათი წონით დამეძრა ფარები. ჯაჭვები ფარებზე გარმონივით დაკეტილი იყო. ფარი არ იძროდა.

არხის ფარები, რომ იტყვიან ჰაერშია დაკიდებული მექანიზმის გარეშე, ანუ კავშირი არ გააჩნია. წყლის დაწოლა შესუსტდება თუ არა, ფარები უნდა დაიძრას (ბოლომდე ჩაიკეტება თუ არა, უცნობია!). ასეც მოვიქეცი, წყლის დაწოლა ფარებზე შესუსტდა თუ არა, ფარები თავისი და ჯაჭვების წონით დაიძრა, გაქანდა, ინერციის ძალით ჩაიკეტა, თანაც ისე, არხში წვეთი წყალი არ შედიოდა! ამით 12 მილიონი $м^3$ წყალი დამორჩილებული იყო! მოსალოდნელ უბედურებას ავცდით!

ზარალი მინიმუმის მინიმუმი იყო.

ენერგეტიკაში მსოფლიოში წყლის დასაკეტად ინერციის ძალა პირველად და, ალბათ საბოლოოდ მე გამოვიყენე, თანაც კრიტიკულ მომენტში.

ენერგეტიკაში ინერციის ძალის გამოყენება თეორიულად დაუშვებელია! ეს შემთხვევა „გინესის რეკორდების წიგნშია შესატანი“!

**ვლადიმერ ნაირაშვილი,**
ივნისი, 2023 წ.
ტელ:. 599 35 63 05.

ქორეოგრაფის ხსოვნა

# გელოდი ფოცხიშვილი



**გელოდი ფოცხიშვილი 60 წელი ემსახურა ქართულ ხელოვნებას. წლების განმავლობაში არაერთ ქართულ ქორეოგრაფიულ ანსამბლში საქმიანობდა და არაერთი ცნობილი ქართველი კომპოზიტორის ნაწარმოებზე დადგა საცეკვაო ნომრები.**

**გელოდი ფოცხიშვილი სხვადასხვა პერიოდში გახლდათ საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „სუხიშვილების“, ასევე, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მოცეკვავე. 1965 წელს მან დააფუძნა მოცეკვავეთა კვარტეტი „დოლური“. 1993 წლიდან ფილარმონიის მთავარი ქორეოგრაფი იყო; 1994-99 წლებში კი — მისი მთავარი ბალეტმაისტერი.**

**მან დააფუძნა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიასთან არსებული მოცეკვავეთა ანსამბლი „მეტეხი“ და ამავე სახელწოდების საბავშვო სტუდია. 1989 წელს თბილისის სპორტის სასახლეში დააფუძნა „შოუების“ და სპორტულ სანახაობათა ასოციაცია. 1997 წლიდან გახლდათ საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის განყოფილების გამგე.**

**ქორეოგრაფის სცენაზე მოღვაწეობის 60 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, მიმდინარე წლის აპრილში, კულტურის სამინისტროსა და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, თბილისის საკონცერტო დარბაზში საღამო გაიმართა. გელოდი ფოცხიშვილის ღვაწლი არაერთი ჯილდოთი თუ პრემიით იყო დაფასებული. ქართული ქორეოგრაფიის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის დაჯილდოვდა საქართველოს ღირსების ორდენით. ასევე, მიღებული აქვს: აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ქების სიგელი, საქართველოს ქორეოგრაფიული კავშირის რაინდის ორდენი, საქართველოს ქორეოგრაფიული კავშირის ბრწყინვალების ორდენი და სხვა. 2016 წელს ქართული კულტურის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის ბატონ გელოდის კულტურის სამინისტროს ჯილდო — „ხელოვნების ქურუმი“ გადაეცა.**

**საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო მადლიერებით მიაგებს პატივს გელოდი ფოცხიშვილის ხსოვნას და მის ღვაწლს ქართული კულტურის წინაშე.**

**საქართველოს კულტურის სამინისტრო**

# გურული ღვინის ფესტივალი



ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სოფელ ხიდისთავში გურული ღვინის ფესტივალი გაიმართა, რომელსაც გურიაში სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ურუშაძე, ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელი პირები და მოწვეული სტუმრები დაესწრნენ.

**„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში უკვე მეორედ ტარდება გურული ღვინის ფესტივალი, რომელიც მიზნად ისახავს გურული ენდემური ჯიშის ყურძნისგან წარმოებული ღვინის პოპულარიზაციას და ასევე, რეგიონში მევენახეობის განვითარებას. მნიშვნელოვანია, რომ ფესტივალში მონაწილეთა რაოდენობა გაზრდილია და იმედი მაქვს რომ ეს ტრადიციად ქცეული ფესტივალი მომდევნო წლებში უფრო მეტ მასშტაბებს შეიძენს“,** — აღნიშნა სახელმწიფო რწმუნებულმა.

# ავტოავარია კახეთში

**კახეთში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ხუთი ადამიანი, მათ შორის ერთი მცირეწლოვანი დაშავდა.**

**თელავი-ყვარელის დამაკავშირებელ გზაზე „სუბარუს“ მარკის ავტომობილის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და გზიდან გადავარდა. მძღოლი და ოთხი მგზავრი სხეულის სხვადასხვა სიმძიმის დაზიანებებით სასწრაფო დახმარების ჯგუფებმა სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანეს.**

# ცხოველთა მიმართ სისასტიკე და წამება დასჯადი ხდება

**ცხოველის წამების ან მისდამი სასტიკი მოპყრობის გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მკაცრდება. შესაბამისი ცვლილებები „სისხლის სამართლის კოდექსში“ შედის.**

კანონპროექტის მიხედვით, ცხოველის წამება, მისდამი სასტიკი მოპყრობა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც მისი დასახიჩრება გამოიწვია, დაისჯება — ჯარიმით, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ორმოც საათამდე, შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ერთ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

ცვლილებებით კონკრეტდება, რომ თუ იგივე ქმედება ჩადენილი იქნება ჯგუფურად, საჯაროდ, არაერთგზის, არასრულწლოვნის თანდასწრებით, ან ორი ან მეტი ცხოველის მიმართ, ეს დაისჯება ჯარიმით, შინაპატიმრობით ვადით ერთიდან ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.

პროექტით, ცხოველის წამება, მისდამი სასტიკი მოპყრობა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც მისი დაღუპვა გამოიწვია, დაისჯება ჯარიმით, შინაპატიმრობით ვადით ერთიდან ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.

**ამ ნაწილთან მიმართებაში კონკრეტდება, რომ თუ ეს ქმედება ჩადენილია ჯგუფურად, საჯაროდ, არაერთგზის, არასრულწლოვნის თანდასწრებით, ან ორი ან მეტი ცხოველის მიმართ, ეს დაისჯება ჯარიმით, შინაპატიმრობით ვადით ერთიდან ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე.**




# განცხადება

**2023 წლის 18 ივლისს 13 საათზე თბილისში, სტანისლავსკის ქ.11-ში ტარდება თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის წარმომადგენელთა კრება**

**დღის წესრიგი**

**1. თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის 2022 წლის სამეურნეო საფინანსო საქმიანობის შედეგების შესახებ;**

**2. თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის შპს „საქკოოპტექნიკის“ ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების გასხვისების შესახებ;**

**3. თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის გამგეობის მიერ მიღებული დადგენილებების დამტკიცების შესახებ;**

**4. თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის უძრავი ქონების გასხვისებით მიღებული თანხის მეპაიეებზე განაწილების შესახებ**

**5. განცხადებები.**

**კოოპერატივის გამგეობა**

# „ალმა მატერი“ გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის სტუდენტთა გაზეთია




**„ალმა მატერი“ გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტური გაზეთია. მისი პრეზენტაცია რამდენიმე დღის წინ უნივერსიტეტის თანამედროვე კამპუსში გაიმართა.**

პროექტის ფარგლებში ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების სტუდენტებს რესპონდენტების ჩაწერისა და მათთან მუშაობის საშუალება მიეცათ.

უნივერსიტეტის რექტორის **მამუკა თავხელიძის** თქმით, ამ ავტორიტეტულ სასწავლებელში პრაქტიკულ საქმიანობას მნიშვნელოვანი კომპონენტი უჭირავს, ეს გაზეთი სწორედ დაჯამებაა სტუდენტობის პერიოდში შეძენილი ცოდნისა, მსგავსი გამოცდილებით ახალგაზრდები მეტად თავდაჯერებულები ხდებიან და უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სწორედ მსგავსი პრაქტიკული მუშაობის შედეგად მათთვის დასაქმება ბევრად მარტივია.

**გია გორგოძემ** – ჟურნალისტმა და რედაქტორმა აღნიშნა, რომ მსგავსი თაოსნობა ახალგაზრდებისთვის დიდი სტიმულის მიმცემია, ჟურნალისტიკა არ გახლავთ მხოლოდ მოკლე შეტყობინებები და „ჰეშთეგები“, რომლითაც წალეკილია ონლაინ მედია. გაზეთში თავმოყრილია კარგად ნაფიქრი და გააზრებული პუბლიკაციები, რაც გვარწმუნებს იმაში, რომ გრ. რობაქიძის უნივერსიტეტში სწავლა, მაღალ დონეზე მიმდინარეობს.

სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ეს გაზეთი არის მათთვის ტრამპლინი დიდ ჟურნალისტიკაში საქმიანობის დასაწყებად, უმნიშვნელოვანესია, რომ უნივერსიტეტი თეორიულთან ერთად პრაქტიკულ სწავლებასაც დიდ ყურადღებას აქცევს.

ალბათ სწორედ მსგავსი ინიციატივების და სწორი სტრატეგიის შედეგია, რომ გრ. რობაქიძის უნივერსიტეტი კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლით პირველ ხუთეულშია.

**წარმატებები გვინდა ვუსურვოთ ჩვენს ახალგაზრდა კოლეგებს და მთლიანად უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს. განათლება ხომ ყველაზე მძლავრი იარაღია და ჩვენს ქვეყანას ნამდვილად სჭირდება სწორად მოაზროვნე, ინტელექტუალური თაობა.**

**რუსუდან ქობულია**

# ირაკლი ნასიძე, ციაო ცი: „სული — ერების სამოსი“

**საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით ზურაბ წერეთლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში ირაკლი ნასიძისა და მისი მეუღლის, ციაო ცის, პერსონალური გამოფენა – „სული – ერების სამოსი“ გაიხსნა.**

გამოფენა კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა თეა წულუკიანმა დაათვალიერა.

**„სული – ერების სამოსი“ საფრანგეთში მოღვაწე ქართველი ხელოვანის, ირაკლი ნასიძისა და მისი ჩინელი მეუღლის, მხატვარ ციაო ცის, შემოქმედებას აერთიანებს. გამოფენის კონცეფცია ნათელი მაგალითია იმისა, რომ ხელოვნებას საზღვრები და ეროვნება არ აქვს. განსხვავებულობის მიუხედავად, ის თავისუფლებასთან ასოცირდება, რადგან ადამიანში უმთავრესი და უნივერსალური სულია.**

გამოფენაზე, რომელიც თანამედროვე ხელოვნებისა და მოდის ინდუსტრიის სინთეზია, დამთვალიერებელი კულტურათა განსხვავების თავისებურებებს გაეცნობა. ირაკლი ნასიძე სრულიად ახლებურ ხედვას სთავაზობს თავისი ხელოვნების თაყვანისმცემლებსა და ამ კოლექციის თითოეული ნივთის შეძენით დაინტერესებულ ადამიანებს.

**გამოფენაზე წარმოდგენილი ციაო ცის ფერწერული ნამუშევრების ძირითადი მახასიათებელი მტკიცე და ძლიერი ხაზებია. მის ტილოებზე უმეტესად ვხვდებით ქალის ფიგურებს, რომელნიც, იდუმალებით შემკულნი, მუდმივად მზად არიან სამყაროს მოსასმენად და ბავშვური, ამავდროულად კი, ცხოვრებისეული სიბრძნით გამსჭვალულნი, მომნუსხავად გესაუბრებიან.**



ირაკლი ნასიძის ხელით მოხატული სამოსი, ავეჯი, ქანდაკებები, კერამიკული ჭურჭელი, აქსესუარები, არქეო-ფუტურისტული ბრინჯაოს სამკაული, სამუზეუმო არტობიექტების სრული კოლექცია ადგილობრივი ოსტატების მიერ საგანგებოდ ამ გამოფენისა და ქართველი ხალხისთვის შეიქმნა.



# მილიარდერთა ბრძოლა ვეგასის ოქტაგონზე

**ილონ მასკმა და მარკ ცუკერბერგმა ერთმანეთი ორთაბრძოლაში გამოიწვიეს. კომპანია Space X-ის, Tesla-სა და Twitter-ის მფლობელმა დაწერა, რომ ცუკერბერგთან ე.წ. გალიაში ჩხუბს ისურვებდა.**

Facebook-ის შემქმნელმა პასუხად, ორთაბრძოლის ადგილმდებარეობა მოითხოვა. ილონ მასკმა ვეგასის ოქტაგონი დაასახელა. მილიარდერების ეს განცხადებები სოციალურ ქსელში უკვე ვირუსულად გავრცელდა, Twitter-ის მომხმარებლები ფსონებს ჩამოდიან, თუ ვინ გაიმარჯვებს ორთაბრძოლაში, 52 წლის ილონ მასკი თუ 39 წლის მარკ ცუკერბერგი.

# სამი საუკუნის წინ დაკარგული რუბენსის ნამუშევარი აუქციონზე გაიყიდება

**თითქმის 300 წლის განმავლობაში არასწორად იდენტიფიცირებული ხელოვნების ნიმუში, რომელიც საბოლოოდ, რენტგენის ანალიზის დახმარებით, ბაროკოს სტილის წარმომადგენელ მხატვარს, პეტერ პაულ რუბენსს მიაკუთვნეს, შესაძლოა, აუქციონზე 7.7 მილიონ აშშ დოლარად გაიყიდოს. ხელოვნების ნიმუშის გაყიდვას Sotheby's-ის სააუქციონო სახლი მომავალ თვეში შეეცდება.**



ფლამანდრიელმა მხატვარმა „Saint Sebastian Tended by Two Angels“-ზე მუშაობა 400 წელზე მეტი ხნის წინ დაასრულა. ფერწერულ ტილოზე რომაელი ჯარისკაცი, სებასტიანია ასახული, რომელიც ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევის გამო, იმპერატორის ბრძანებით ჯარისკაცებმა ისრებით სასიკვდილოდ დაჭრეს, თუმცა ანგელოზებმა სასწაულებრივად გადაარჩინეს. ვარაუდობენ, რომ ხელოვნების ნიმუში რუბენსმა იტალიელი დიდგვაროვნისა და სამხედრო მეთაურის, ამბროჯიო სპინოლას დაკვეთით შექმნა.

ისტორიული ჩანაწერებიდან ნახატის კვალი 1730-იან წლებში ქრება. დიდი ხნის შემდეგ კი, 1963 წელს, მისურის შტატში ჩნდება. 2008 წელს ტილო მისმა ამჟამინდელმა მფლობელმა აუქციონზე შეიძინა, სადაც ის არასწორად იქნა მიკუთვნებული ფრანგი მხატვრის, ლორან დე ლა ირისთვის. საბოლოოდ, ნამუშევრის შესწავლამ აჩვენა, რომ ის პეტერ პაულ რუბენსის მიერაა შესრულებული. ხელოვნების ნიმუში ლონდონში, Sotheby's-ის აუქციონზე 5 ივლისს გამოჩნდება. სააუქციონო სახლი რუბენსის ფერწერულ ტილოს 4-დან 6 მილიონ გირვანქა სტერლინგამდე (დაახლოებით 5.1-დან 7.7 მილიონ დოლარამდე) აფასებს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ა

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22) ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 28 ივნისს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6284; ევრო - 2.8560;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3436;
100 რუბლი - 3.1246; თურქული ლირა - 0.1028;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5486;
1000 სომხური დრამი - 6.8032

**ამინდი 26 ივნისისთვის**

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +12, | დღე +31 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +7, | დღე +29 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +13, | დღე +31 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +10, | დღე +32 |
| თბილისი: | ღამე +18, | დღე +31 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge